სარბიელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

სპორტული გაზეთი | სამშაბათი 29 ივნისი 2004 №147 (2168) | ფასი 50 თეთრი

მსაჯებში ადგილები განაწილდა

Euro 2004



ფინალი: მარკუს მერკი

ნახევარფინალები:

პორტუგალია – ჰოლანდია
ანდერს ფრისკი

საბერძნეთი – ჩეხეთი
პიერლუიჯი კოლინა



ბარსელონა ტრანს ფერგუსონ ორდის

ამ ევროპის ჩემპიონატის გადამყიდე, ლამისაა, ძალიან მნიშვნელოვანი ამბები ყურადღების მიღმა დაგვრჩეს, არადა, „ბარსელონაში" მართლა ფრიად საინტერესო რამეები ხდება: ჯატალონიელებმა, ფაქტობრივად, გაჩარხეს დეკოს და ჰენრიკ ლარსონის ტრანსფერები, ლუდოვიკ ჟიული კი გუშინ ოფიციალურად ბარსელონელი გახდა.

INVE$TORY

საქმეს ისეთი პირი უჩანს, საქართველოს მეთექვსმეტე ეროვნულ ჩემპიონატს რამდენიმე ღონიერი გუნდი ეყოლება. „ვიტ ჯორჯია", „დინამო" და „თბილისი" მოწინავენი არიან, მაგრამ ქართულ კლუბებს უცხოელმა ინვესტორებმაც დაადგეს თვალი — საცაა „ლოკომოტივს" გამოუჩნდება პატრონი, გუშინ კი მოსკოვის „ლოკომოტივის" პრეზიდენტი ვალერი ფილატოვი „სარბიელს" ესაუბრა და ქუთაისელ მეგობრებზეც ილაპარაკა. მეგობრებს კი ეხმარებიან და ხშირად ისეც, რომ საქმეში გვერდით იყენებენ — ქუთაისის „ტორპედოს" პრეზიდენტი ზურაბ ხინიკაძე ფილატოვის მეგობარია და აკი სამი ყოფილი ტორპედოელი მოსკოვის „ლოკომოტივშიც" თამაშობს, თუმცა ახლა სულ სხვა პარტნიორობაზეა ლაპარაკი...

მეოთხედფინალის საუკეთესო მოთამაშე

მილან ბაროში (ჩეხეთი)



ჩეხეთის მილანი

ფეხბურთელი, რომელიც „სარბიელმა“ მეოთხედფინალების საუკეთესო მოთამაშედ აირჩია, 1981 წლის 28 ოქტომბერს გახლავთ დაბადებული და „ლივერპულში“ თამაშობს. იგი ორივე ფეხით ერთნაირად თამაშობს და სწრაფია.

2004 წელს მილან ბაროში ჩეხეთის ახალგაზრდულ ნაკრებთან ერთად ევროპის ვიცე-ჩემპიონი გახდა, ხოლო დიდ ნაკრებში დებიუტი მოგვიანებით, ბელგიის ეროვნული გუნდის წინაღმდეგ (1:1) ჰქონდა. ამ ევრო 2004-ის შესარჩევის 8 თამაშიდან ბაროშმა ექვსში მიიღო მონაწილეობა, გოლები კი ბელარუსსა და ჰოლანდიას შეუგდო.

კარიერა თავდამსხმელმა ოსტრავას „ბანიკში“ დაიწყო, სადაც სამნახევარ წელიწადში, 46 შეხვედრაში 23 გოლი შეაგდო. 2001 წლის ნოემბერში იგი „ლივერპულმა“ შეიძინა, სადაც თავიდანვე ვერ ჩაერთო საქმეში, რადგან ბრიტანეთის შრომის სამინისტრო ქვეყანაში მუშაობის უფლებას არ აძლევდა.

2003-2004 წლების სეზონი ბაროშისთვის სექტემბერშივე მძიმე ტრავმით დაიწყო. იგი „ბლექბერნ როვერსის“ გერმანელ მოთამაშეს, მარკუს ბაბელს შეეჯახა და თებერვლამდე სამკურნალო გახლდათ, მაგრამ ევრო 2004-სთვის მაინც გამოჯანმრთელდა.

ევრო 2004-ზე კი ჯერჯერობით ოთხივე თამაშში მიიღო მონაწილეობა (279 წუთი დაჰყო მოედანზე), გაიტანა 5 გოლი (საშუალოდ თამაშში 1.61), კარში 12-ჯერ დაარტყა, ერთი საგოლე პასი გადააწოდა, 7-ჯერ თამაშგარეში, 11-ჯერ დაშავდა და 6-ჯერ მის წინააღმდეგ დაშავდნენ.

პაპუნა კედია

პორტუა თუ პრაღა?

ბაროში ჰლატინის ეტოლება

დანიასთან ჩეხების გამარჯვებამ პორტუ ლამის პრაღად აქცია. კარელ ბრუკნერის გუნდის ქომაგები ნაკრებს ქალაქიდან ქალაქში დაჰყვებოდნენ. ჯგუფის ორი მატჩი ავეირუში ითამაშეს, გერმანიას ლისაბონში სძლიეს, ბერძნებთან ნახევარფინალური შეხვედრა კი პორტუში ელით და სწორედ აქ შეიკრიბება ლუდის მსმელთა დიდი ჯარი.

დანიასთან მოგების შემდეგ თავგადაკლულმა მავანმა ქომაგმა ირჟიმ განაცხადა, რომ 20 წელია, ნაკრებს ყველა დიდ შეჯიბრებაზე დაჰყვება. თავის დროზე ჩეხოსლოვაკიას გულშემატკივრობდა, გაყოფის მერე კი გაჩეხდა.

„ახლა სწორედ ჩვენი დრო მოვიდა. პორტუგალიაში ოქრო უნდა მოვიგოთ. 1996-ში ძალიან დასანანად დავმარცხდით გერმანიასთან, ამჯერად კი ნედვედის თაობა თავის სიტყვას აუცილებლად იტყვის, რადგან ეს, ფაქტობრივად, მათთვის ბოლო შანსია. პობორსკის, შმიცერის და კოლერის გვერდით ახალგაზრდები კარგად ათამაშდნენ და ეს მეტწილად კარელ ბრუკნერის დამსახურებაა. მთავარია, ბერძნებთან ზედმეტმა თავდაჯერებულობამ არ დაგვლუპოს, ფინალში კი სულ ერთია, ვინ შეგვხვდება, თუმც მასპინძლებთან ოდნავ რთული იქნება მოგება, ვიდრე ჰოლანდიასთან“ — თქვა ირჟიმ.

პორტუგალიაში 10 ათასამდე ჩეხი გულშემატკივარია ჩასული, ხოლო ნახევარფინალისთვის, რომელიც „დრაგაუზე“ პირველ ივლისს გაიმართება, რამდენიმე ათასი კიდევ დაემატება.

მილან ბაროში უკვე გმირია. მან დანიას წყვილი გაუტანა და ხუთი გოლი დაუგროვდა. „ლივერპულის“ ფორვარდმა ოთხივე მატჩში გამოიჩინა თავი და ერთხელაც თუ გაიტანს, მიშელ პლატინის რეკორდს გაიმეორებს. პლატინიმ ევროპის 1984 წლის ჩემპიონატზე ზედიზედ ხუთ შეხვედრაში იხეირა. საერთოდ მილან ბაროშმა 29 სანაკრებო მატჩში 21 გოლი მოაგროვა.

„პორტუგალიაში ჩამოსვლამდე ვინმეს რომ ეთქვა, ხუთს გაიტანო, გამეცინებოდა. შეიძლება ითქვას, ეს ახდენილი ოცნებაა, მაგრამ მთავარი ნახევარფინალში თამაშია. დარწმუნებული ვიყავი, დანიასთან ძალიან გაგვიჭირდებოდა და პირველ ტაიმში ასეც მოხდა, მაგრამ როცა დავწინაურდით, მეტოქე აირია. სულაც არ მიმაჩნია, რომ ფავორიტები ჩვენ ვართ. თავიდანვე შევთანხმდით, ჩემპიონობაზე არ გვეფიქრა და უბრალოდ, ჩვენი ფეხბურთი გვეთამაშა. ბერძნებს გამართული დაცვა ჰყავთ და მათი გავლა ძალიან გაგვიჭირდება“.

ვაჟა ხუციშვილი

საუკეთესო მწვრთნელი

ოტო რეჰაგელი (საბერძნეთი)

რეჰაკლესის გმირობა

საბერძნეთის საზოგადოებრივი წესრიგის მინისტრმა გეორგიოს ვულგარაკისმა ეროვნული ნაკრების მწვრთნელს მოქალაქეობა შესთავაზა. „სიამოვნებით გადავცემდი რეჰაგელს ჩვენი ქვეყნის პასპორტს, თუკი თავად ისურვებს. მას ბერძნული სული აქვს და მთავარია, დაგვთანხმდეს“. ვულგარაკისმა გერმანელ თავკაცს შრომა ამგვარად დაუფასა, რეჰაგელმა კი ფრანგებთან მატჩამდე თქვა: „ბრძოლაში დამარცხება თუ გველის, მაშინ გმირულად წაგებას ვინატრებ, ისე, როგორც ბერძენ მეომრებს ეკადრებათ“.



ელინებმა საფრანგეთს სძლიეს და გერმანელმა მწვრთნელმა განაცხადა: „კონტრაქტის გაწყვეტას არ ვაპირებ, საბერძნეთი მსოფლიოს 2006 წლის ჩემპიონატზე უნდა ვათამაშო. ეს ძალიან ძნელია, მაგრამ აქ ვრჩები“.

ოტო რეჰაგელმა გუნდი შეაქო და ერთი საიდუმლოც გაამხილა: „თავიდანვე მსურდა, რომ ფეხბურთელები ერთ ჩარჩოში მომექცია და თამაშის ჩემებური ხედვა კარგად გავაგებინე. ფრანგებთან გამარჯვება სამწლიანი შრომის შედეგია. ხშირად ბიჭებს გულახდილად ვესაუბრები და საკუთარი ცხოვრებიდან ამბებს ვუყვები. ზოგმა გაითავისა, ზოგმა ვერა, მაგრამ მთავარია, რომ გუნდი შეიქმნა და ამით წარმატებას მივაღწიეთ“.

გერმანელ მწვრთნელს თითქოს რუდი ფიოლერის შემცვლელადაც მოიხსენიებდნენ, თავად „მეფე ოტომ“ კი იუარა: „გერმანიის საფეხბურთო კავშირიდან არავინ შემხმიანებია, მაგრამ ასეც რომ მოხდეს, წასვლაზე არ დავთანხმდები“.

ელინებს საფრანგეთთან გამარჯვების შემდეგ მუცლების ჩახეთქვა მოსდომებიათ, მაგრამ მწვრთნელს თითი დაუქნევია: „ბერძნებს ზეიმის მოწყობა არ ეშლებათ, მაგრამ ზოგჯერ თავის შეკავება აუცილებელია. ალკოჰოლი კი არა, ფეხბურთელებს მატჩის წინ ყავის დალევაც კი ავუკრძალე და შედეგი სახეზეა“.

გერმანიაში ოტო რეჰაგელს მეტსახელად „რეჰაკლესი“ შეარქვეს. ჟურნალმა „ბილდმა“ კი თანამემამულეზე დაწერა: „ოტო ყოველთვის წინააღმდეგობებით სავსე პიროვნება იყო. მას აქ ბევრი ფანიც ჰყავს და ბევრიც ვერ იტანს, ამიტომაც არ გაჩერდა ჩვენთან“.

„ტეგეშპიგელის“ რედაქტორი სვენ გოლდმანი: „რეჰაგელმა გვაჩვენა, რომ 65 წლისაც კი პროგრესულად აზროვნებს და ბევრი სიახლის მოფიქრება შეუძლია. თითქოს მოძველებული ყაიდის ფეხბურთს თამაშობს მისი საბერძნეთი, მაგრამ იმავდროულად ძალიან ეფექტურს. რაკი ბერძნები რეჰაგელს უგებენ, გამოდის, რომ ენის ცოდნა სულაც არაა საჭირო, ეს კი უკვე თითქმის სასწაულია“.

ვაჟა ხუციშვილი

შვედეთი

სუპერლიგა. XII ტური

ჰეკენი 1:1 ატვიდაბერგი
ბრომაპოიკარნა 2:1 ენჩიოპინგი
ვასტერასი 0:2 ნორჩიოპინგი

ისლანდია

პრემიერლიგა. VIII ტური

გრინდავიკი 3:2 კეფლავიკი
ფრამი 1:2 ჰაფნარფიორდური

ფინეთი

თასის 1/16 ფინალი

კტპ 1:0 იარო
ტპ-47 0:3 როვანიემი

ირლანდია

ლიგის თასის I ეტაპი

ბოჰემიანსი 1:1 დუბლინი

ნორვეგია

ტიპელიგა. XIII ტური

ბრანი — ლილესტრიომი 1:5; ფრედრიკსტადი — ვიკინგი 0:0; სოგნდალი — ტრომსიო 2:1; ჰამ კამი — ოდ გრენლანდი 2:4; სტაბეკი — ვოლერენგა 2:0; ბოდიო გლიმტი — მიოლდე 0:0; ლინი — რუსენბორგი 0:2

ტრომსიო	13	8	1	4	24:13	25
რუსენბორგი	13	6	5	2	24:14	23
ლილესტრიომი	13	5	5	3	24:13	20
ოდ გრენლანდი	13	5	5	3	24:19	20
ვოლერენგა	13	5	5	3	13:12	20
ლინი	13	5	4	4	15:12	19
ბრანი	13	6	1	6	21:21	19
ჰამ კამი	13	5	4	4	17:19	19
ვიკინგი	13	3	7	3	12:14	16
მოლდე	13	3	6	4	15:17	15
სოგნდალი	13	3	5	5	21:25	14
სტაბეკი	13	4	2	7	13:21	14
ბოდიო გლიმტი	13	3	3	7	11:23	12
ფრედრიკსტადი	13	2	3	8	19:30	9

რეკლამა
სარბიელ—ში
Tel: 39 40 08, 93 16 08; Fax: 94 33 80

მეოთხედფინალის სტატისტიკა

სიმბოლური ნაპრები

ბომბარდირები

მილან ბაროში	ჩეხეთი	5
უეინ რუნი	ინგლისი	4
რუუდ ვან ნისტელროი	ჰოლანდია	4
ზინედინ ზიდანი	საფრანგეთი	3
ჰენრიკ ლარსონი	შვედეთი	3
იონ დალ ტომასონი	დანია	3
ფრენკ ლამპარდი	ინგლისი	3

ყვითელი

პორტუგალია	საბერძნეთი
კოშტინია, დეკო, რ. კარვალიუ	ზაგორაკისი, კარაგუნისი
ჰოლანდია	**ჩეხეთი**
მაკაი, დე ბური, ვან დერ მეიდე	ნედვედი, იანკულოვსკი, უიფალუში

ოჰ, ეს ნახევარი საათი

ევრო 2004-მა დამატებითი დროის უკვე ორი შემთხვევა შემატა ევროპის ჩემპიონატების ისტორიას. ეს გახლდათ პორტუგალია — ინლისისა და ჰოლანდია — შვედეთის მატჩები, რომლებშიც საქმე პენალტებამდე მივიდა და პირველი პორტუგალიელთა, ხოლო მეორე ჰოლანდიელთა გამარჯვებით დასრულდა.

მანამდე კი ევროპის ჩემპიონატების ისტორიამ 21 შემთხვევა იცოდა, როდესაც მეტოქეებს გამარჯვებულ-დამარცხებულის გასარკვევად 90 წუთს ზევით კიდევ ნახევარი საათის დანიშნა დასჭირდათ. ამ 21 შემთხვევიდან თერთმეტჯერ ვითარება თამაშით გაირკვა, ხოლო ათ შემთხვევაში გუნდებმა პენალტები დაარტყეს.

დამატებითი დროის საჭიროებამ განსაკუთრებით ბოლო ჩემპიონატებში იმატა. ევრო 96-ის და ევრო 2000-ზე ჯამში ოთხივე ნახევარფინალში სწორედ ამ მეთოდით გაირკვა ფინალისტის ვინაობა, თუმც დამატებითი დროების მოზღვავება 1976 წელს გახლდათ ყველაზე შთამბეჭდავი — ერთბაშად ოთხმა თამაშმა მოითხოვა ზედმეტი ნახევარსაათიანი სირბილი.

დამატებითი დროით ყველაზე მეტად ფრანგებმა ისარგებლეს. მათ ხუთჯერ მოუწიათ ძირითადი 90 წუთის შემდეგ ბრძოლა და აქედან სამჯერ „ლურჯებმა" გაიმარჯვეს.

დანიელები არიან ამ მხრივ ყველაზე უიღბლონი, დამატებითი დრო მათ სასარგებლოდ ერთხელაც არ დასრულებულა.

პაპუნა კედია

საფრანგეთი	5	3	2	0
გერმანია (გფრ)	4	2	2	0
უნგრეთი	2	1	0	1
სსრკ	2	1	1	0
პორტუგალია	3	1	0	2
ესპანეთი	3	1	2	0
ჩეხეთი (ჩეხოსლოვაკია)	4	1	2	1
ჰოლანდია	6	1	4	1
დანია	3	0	2	1
ინგლისი	3	0	2	1
იტალია	4	0	3	1
იუგოსლავია	4	0	1	3
შვედეთი	1	0	1	0

გერმანელები ფინალში

ევროჩემპიონატის ფინალურ მატჩს გერმანელი მარკუს მერკი განსჯის. ასე გადაწყვიტა უეფამ. მისი ასისტენტები კრისტიან შრეერი და იან ჰენდრიკ სალვერი იქნებიან. ეს სამეული საფრანგეთ-ინგლისს და შვედეთ-დანიის შეხვედრებს გაუძღვა. მეოთხე არბიტრი ჯერ არ დაუსახელებიათ



პროფესიით დანტისტ მერკს ჩემპიონთა ლიგის 2003 წლის ფინალი და ევრო 2000-ის ნახევარფინალი (იტალია-ჰოლანდია) განუსჯია.

42 წლის გერმანელი კაიზერსლაუტერნშია დაბადებული და იქვე ცხოვრობს. 1998-დან ბუნდესლიგაში მსაჯობს და ფიფას არბიტრი 1992 წელს გახდა.

ფინალის და ნახევარფინალის მსაჯები გუშინ სოლვესდეში დაასახელეს. პორტუგალია — ჰოლანდიის მატჩი შვედებს ანდეს. ანდერს ფრისკს, კენეტ პეტერსონს და პეტერ ეკსტრიომს მასპინძელთა თამაშის გაძღოლა მოუწევთ და მათი დამხმარე, მეოთხე არბიტრი სლოვაკი ლუბოშ მიხელი იქნება.

საბერძნეთ — ჩეხეთის შეხვედრას იტალიელები გაარჩევენ. პიერლუიჯი კოლინას მარკო ივალდი და ნარციზო პისაკესტა დაეხმარებიან, ხოლო მეოთხეობას ვალენტინ ივანოვი გასწევს.

პიერლუიჯი კოლინას სრული კოლექციისთვის ევროპის ჩემპიონატის ფინალის მსაჯობა აკლდა, რადგან აქამდე ყველა დიდი საკლუბო თუ სანაკრებო ტურნირის ფინალებში უმსაჯია.

ვაჟა ხუციშვილი

პორტუგალიური ფეხბურთის ლეგენდა, ეუსებიო ინგლისთან გამარჯვების შემდეგ ევრო 2004-ის მოგებას ლუიშ ფელიპე სკოლარის ნაკრებს უქადის. ეუსებიომ ესპანურ „ლიბრედირეკტოსთან" საუბარში ბრაზილიელ მწვრთნელს სრული ნდობა გამოუცხადა და აღიარა, რომ ჩემპიონატზე შემორჩენილი გუნდებიდან სხვაზე მეტად ჩეხეთს უფრთხის

ეუსებიომ სკოლარის საქციელი მოუწონა

— უპირველეს ყოვლისა, ინგლისთან ძნელ გამარჯვებას მოგილოცავთ, თუმც უნდა აღინიშნოს, რომ პორტუგალიის ნაკრებს ამ ჩემპიონატზე ბედიც გვარიანად წყალობს...

— ინგლისელებთან მოგებით ძალიან ბედნიერი ვარ. რთული შეხვედრა გამოდგა და საბოლოოდ პენალტებს ვერ ავცდით, მაგრამ საფეხბურთო ფორტუნა ხან ერთი გუნდის მხარეს იქნება და ხან მეორესი... თერთმეტმეტრიანი დარტყმების სერიით გამარჯვება ჩვენს სიხარულს ოდნავაც არ აკნინებს — მინდა, პორტუგალიის ნაკრების ყველა გულშემატკივარს მივულოცო ეს დიდი გამარჯვება.

— მართლაც, ეუსებიოს დროინდელი ლეგენდარული სელესაოს შემდეგ ქომაგებს ასე არ გაუხარიათ...

— გეთანხმებით. თუმცა 24 ივნისის ზეიმი მაშინდელზე გაცილებით უკეთესი იყო.

— სკოლარიზე, როგორც მწვრთნელზე, რას ფიქრობთ?

— შესანიშნავი ადამიანი და დიდი მწვრთნელია. სულით და გულით ვნატრობ, ევრო 2004 მოაგებინოს პორტუგალიის ნაკრებს...

— სკოლარიმ იმ თამაშში ლუიშ ფიგუ შეცვალა, ამან კი დიდი კამათი გამოიწვია. თქვენ რას იტყვით ბრაზილიელის გადაწყვეტილებაზე?

— კამათი და დაპირისპირება საქმეს დაღუპავს. ვთვლი, რომ სკოლარი ისე მოიქცა, როგორც უნდა მოქცეულიყო.

— პორტუგალიის ეროვნულ გუნდს ევროპის ჩემპიონობას უწინასწარმეტყველებთ?

— დიახ, ინგლისელებთან მატჩის მერე თასის დაუფლების რეალური შანსი გვაქვს.

— ტურნირზე დარჩენილი ნაკრებებიდან ყველაზე უხერხულ მეტოქედ ვის მიიჩნევთ?

—საფრანგეთის ნაკრების გავარდნის მერე, ჩვენთვის ყველაზე საშიშ მეტოქედ კარელ ბრუკნერის ჩეხეთი მიმაჩნია.



ბიო ახალდიანი პორტუგალიან

ჩეხი და სხვანი ZEUS







ჟაკ სანტინი ისე ხშირად ახსენებდა ცოლებს, რომ ახლა სრულიად მოსვენებული წავა დასასვენებლად თავის მეუღლესთან ერთად. ღმერთმა მშვიდობაში დაასვენოს, კარგი და ზრდილობიანი კაცია და, რაც შეძლო, ის გააკეთა საფრანგეთის ნაკრებთან ერთად. ამაზე მეტი იმ მოქანცულ, ადგილ-ადგილ კი მობერებულ ვარსკვლავებს არ შეეძლოთ.

როცა ფრანგებმა შვეიცარია დაამარცხეს კოიმბრას საქალაქო მინდორზე, სტადიონის ეზოში შემთხვევით გადავეყარე ჟან ტიგანას, რომელიც ყველასგან მოშორებით დამდგარიყო ჩაფიქრებული. ჰოდა, ახლა, როცა ცხლად შევიტყვე, რომ „მონაკოსა“ და „ფულემის“ ძველი გამწვრთნელი ფრანგთა მწვრთნელის სავარძელს უმიზნებს, ის ჩაფიქრებული ტიგანა გამახსენდა. საფრანგეთის ნაკრების მწვრთნელის პოსტისთვის მალევე ატყდება ჭიდაობა იმიტომ, რომ ლორან ბლანს უთქვამს, მეც დიდი გამოწვევითა და ჟინით გავწვრთნიდი ჩემი ქვეყნის ეროვნულ ნაკრებს, რომელთანაც ყველაფერი მომიგია როგორც მობურთალსო. მაგრამ, ისევე როგორც საქართველოს ნაკრების მწვრთნელის დანიშვნაში, „ლურჯთა“ სათავეში კაცის მოსვლაშიაც თავის სათქმელს იტყვის მიშელ პლატინი, რომელსაც ამ ხანებში იმგვარი გავლენა მოუპოვებია როგორც ფიფას ვიცე-პრეზიდენტს, რომ ბლატერის ერთადერთ შემცვლელად იგულისხმება.

ცხადია, პლატინი ვისაც უდგას ზურგს უკან, თავის ძველ მეგობრებსა და თანამებრძოლებს, ჰოდა, ჟან ტიგანა ოცი წლის წინანდელი კაპიტნისა და ბევრისშემძლე მეგობრის მხარდაჭერას დიახაც გრძნობს და იმედოვნებს. ისე კი, რა გითხრათ, ტიგანა-ფეხბურთელი ბევრად სასიამოვნო იყო, ვიდრე ტიგანას გაწვრთნილი „ფულემი“, გამუდმებით საკუთარი კარისკენ რომ იცქირებოდა. რატომ დაემართებათ ხოლმე ამ შემოქმედებით ადამიანებს დაცვის დაუძლეველი ავადმყოფობა? სვენ გორან ერიკსონისა რა გითხრათ, იმან ისე ჩაამწკრივა ინგლისელები საჯარიმოსთან, რომ დღემდე იძახის, ყველაზე მაგარი სოლ კემპბელი იყო ჩემს გუნდშიო. მაგრამ შევეშვათ ვითომდა ღრმად ჩაფიქრებულ შვედს და პლატინის მივუბრუნდეთ.

სწორედ 20 წლის წინათ მიშელ პლატინი და მისი ზღაპრული მეგობრები თავიანთ სამშობლოში ჩემპიონები გახდნენ, ხოლო თავად პლატინიმ ზედიზედ 5, ანუ მაშინდელი ფორმატით, ყველა თამაშში გაიტანა გოლი. მგონი, სულ ცხრა გამოუვიდა, თუმცა, არის სხვა ბანაკი, რომელიც აცხადებს, რომ ხუთშაბთს ერთი 22 წლის ბიჭი გაიმეორებს პლატინის მიღწევას, ხოლო კვირა საღამოს პირველი ფეხბურთელი შეიქნება, ვინაც ზედიზედ გაიტანა ევროპის ჩემპიონატის ყველა მატჩში. გადაასწრებს თუ არა მილან ბაროში გოლების ოდენობით მიშელ პლატინის, ძნელი სავარაუდოა, დარჩენილ ორ თამაშში მან ხუთი უნდა გაიტანოს, მაგრამ იმ პირველი, უფრო პატარა რეკორდის მოხსნას კი შეეცდება.



ერიკ კანტონას არც საფრანგეთი ანაღვლებს და არც ის, რას იტყვიან ფრანგები მასზე

დგანან ტრიბუნებზე ფეხბურთის დიდი მცოდნეები და ხელებს შლიან, ეს ვინ ყოფილა მილან ბაროშიო, რა სისწრაფეზე შეძლებია თამაშიო, რატომ იყო, რომ ჟერარ ულიე მას „ლივერპულის“ სკამზე ამწნილებდაო. თავად ბაროშს ამის გამო უკვე გადაწყვეტილი ჰქონია მერსისაიდიდან წასვლა, ოღონდაც ისევ ამ ფრანგმა გაასწრო. ბოროტი ენები კი იმასაც ამბობენ, ერთია მილანი მრავალნაკად და თეთრფაფრიან კარელ ბრუკნერის ხელში, რომელსაც ვერანაირი ჩეხი ვარსკვლავი ვერ შებედავს რამეს და მეორე, კიდევ სადმე სხვაგანო.

ასეა თუ ისე, ჩეხებმა მეორე ტაიმის დასაწყისში მცირე რბევა მოუწყვეს დანიელებს „დრაგაუზე“ და ეს ყველაფერი ისე უცებ მოხდა, ისე უცებ დამთავრდა თამაში, რომლის ნახევარიც პოზიციურ ბურთის გორებასა და სიჩქარეების დაზოგვაში მიმდინარეობდა, რომ მაცქერალმა ხალხმა ვერც კი შეამჩნია. „დრაგაუ“ კი მთლად სავსე ვერ იყო, დანიელებმა და ჩეხებმა მთლიანად ვერ აითვისეს მათზე გამოყოფილი ბილეთები, ამდენი ინგლისელი კი პორტუგალიაში აღარ დარჩა, რომ ყველა სტადიონი შეავსოს. არადა, დილით შავ ბაზარზე ბილეთის ფასი 150 ევროს ურტყამდა. არ ვიცი, გაასაღეს თუ არა ამ ფასად თავიანთი ბილეთები ქუჩის ჩუმმა მოვაჭრეებმა, სტადიონი კი მაინც არ გაივსო.

ისევ ფრანგებს მივუბრუნდეთ. ერიკ კანტონა თითქოს საბოლოოდ გაემიჯნა თავისი ქვეყნის ფეხბურთს: მთელი პორტუგალიის გასაგონად მან უდარდელად განაცხადა, რომ ამ ჩემპიონატის ფინალი წინა კვირას გაიმართა, როცა ერთმანეთს პორტუგალია და ინგლისი შეხვდნენ, ამიტომ ჩემპიონად პორტუგალია მიიჩნია და როგორც უნდა წავიდეს საქმე, პორტუგალიელებს ჩათვლის ევროპის ჩემპიონებად. ფეხბურთის სამყაროს ამ დიადი მარგინალის ლაპარაკმა პორტუგალიელები აღაფრთოვანა, თუმცა იქვე ოდნავ დააბნია, რადგან ტრადიციულ კითხვაზე, რას იტყვით თქვენი საფრანგეთის ნაკრების უიღბლო გამოსვლის შესახებო, კანტონამ ისეთები მოაყოლა, რომ, მგონი, პორტუგალიელები თავიანთი ნაკრების ხელაღებულ ქომაგობაზე ჩააფიქრა კიდეც: საფრანგეთის ამბავი არ მიანტერესებს, მე არასდროს ვქომაგობ საფრანგეთის ნაკრებს — თქვა წვერ და თმამოშვებულმა ერიკმა — მე ინგლისს ვქომაგობ, საერთოდ, ბევრჯერ მიოცნებია, ინგლისელად დავბადებულიყავი და ამ ქვეყნის სახელი და ღირსება დამეცვა. სამწუხაროდ, ასე არ მოხდა, ამიტომ ფრანგებისას ვერფერს გეტყვით.

ცოტა რომ დავმშვიდდეთ, ერიკ კანტონა ფესვითა და ძირით არ არის ფრანგი, მისი წინაპრები ანდალუზიასა და სარდინიაზე უნდა ვეძებოთ. ხოლო რახან ამ კაცმა თავისი ფეხბურთი ინგლისში ნახა, საყვარელი ქალაქი კი კატალონიაში, ერიკი მსოფლიო მოქალაქედ უნდა მივიჩნიოთ. თუმცა ასე რომ მივყვეთ, საფრანგეთის ნაკრებიდან აღარავინ დარჩება ისეთი, თვითონ საფრანგეთს რომ ქომაგობდეს. საბედნიეროდ, ასე არ არის. ერიკ კანტონა ერთია და განუმეორებელი თავისი ხასიათითა და მისწრაფებებით, ის ამ ამბავში საერთოდ არ ჰგავს ფეხბურთელს. ამიტომაც მივუბრუნდეთ ისევ ნახევარფინალის ხალხს და ვთქვათ, რომ ჩეხებს ერთგვარი უპირატესობა აქვთ ბერძნებთან, თუმცა ჩვენი ძველი ნაცნობები ბერძნული ჟურნალისტური კორპუსიდან სხვაგვარად ფიქრობენ. კომენტატორი და პირის ზიარება სტეფანოს დიმიტრიადისი „დრაგაუს“ ტელებოქსიდან ხელებაღმართული მიყვიროდა ჩეხეთ — დანიის მატჩის შესვენებაზე: ფინალე, ფინალე... ოტო რეჰაგელ ზეუს!!!

ზევსიაო რა, ღმერთიო.

ერთი ესეც თვალში საცემია, რაც უკვე ერთხელ ვთქვი, რომ ბერძნულ მედიასაც და გულშემატკივრებსაც ძალიან სჯერათ თავიანთი მწვრთნელის, თუმცა რის ხარჯზე უნდა ებრძოლონ ყოველივეს შემმუსვრელ ჩეხებს, ძნელი სათქმელია. ალბათ, ისევ ოტოს გამომგონებლობისა და მოხერხების ხარჯზე. მაგალითად, ფრანგებთან მატჩში რეჰაგელმა დიდი სიურპრიზი გამოიტანა მოედანზე, პერსონალური მეურვეობა დააკისრა თავის მცველებს, ეს დავინყებული ხერხი სრულიად მოულოდნელი და ახლებურიც კი აღმოჩნდა. თუმცა ისიც სათქმელია, რომ ბერძნები უკვე გმირები არიან. თავიანთ ისტორიაში პირველად გასცდნენ ჯგუფს რაგინდარა სანაკრებო შეჯიბრებაში და, რაც მთავარია, მოუგეს მასპინძელ პორტუგალიას და ჩემპიონი საფრანგეთი გაისტუმრეს ტურნირიდან. სხვაფრივ კი პორტუგალიაში კვლავ გვარიანად ცხელა, წყალზე კვლავ მოთხოვნილებაა, რაც კვირა საღამოს ჩეხებმა წყალი დალიეს, იმდენი ღვინო ჩვენთან ქორწილს ეყოფოდა.

EURONEWS



კმარა!

უეფამ ინგლისური პრესა გაკიცხა და მაიერი დაიცვა

ის ხმაური, რომელიც ინგლისურმა პრესამ მეოთხედფინალურ შეხვედრაში პორტუგალიის კარში სოლ კემპბელის გოლის არჩათვლის გამო ატეხა, „სარბიელმა“ ამ დღეებში ვრცლად მიმოიხილა. შეგახსენებთ, რომ საუბარია 89-ე წუთზე დატრიალებულ ამბავზე, როდესაც ჩაწოდებულ ბურთს კემპბელმა თავი კი დაარტყა, მაგრამ მსაჯმა, შვეიცარიელმა ურს მაიერმა მიიჩნია, რომ ამ მომენტში მეორე ინგლისელი, ჯონ ტერი პორტუგალიელ მეკარე რიკარდუს ახტომაში ხელს უხეშად უშლიდა და გოლი არ ჩათვალა.

უეფამ ორი დღე ითმინა და როდესაც მიიჩნია, რომ ინგლისური გაზეთები ამლაშებენ, პრესკონფერენცია მოაწყო.

„ჩვენ ზოგიერთი კოლეგის საქციელმა გული დაგვწყვიტა, განსაკუთრებით ეს ურს მაიერის შემთხვევას ეხება — განაცხადა კომიტეტის თავმჯდომარემ, ფოლკერ როთმა და დასძინა — როგორც გერმანიის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი, პრესასთან, მათ რიცხვში ყვითელ პრესასთან ურთიერთობას ნაჩვევი ვარ და ვიცი, რომ ის, რაც ურს მაიერის შესახებ ინგლისური პრესის ნაწილმა დაწერა, მიუღებელი იყო. ისინი მის პირად ცხოვრებას შეეხენ, მისი სახლის, მანქანის, მეუღლის შესახებ დეტალურად დაიწყეს თხრობა, რაც დაუშვებელია. ოთხი წლის განმავლობაში უეფა პრესასთან ურთიერთობაში ღია იყო, მაგრამ თუ პრესა ასე მოიქცევა, მაშინ უეფას დამოკიდებულებაც შეიძლება შეიცვალოს“.

პაპუნა კედია

ო, როგორ მინდა!

არაგონესმა ესპანეთი გაამხილა



„რეალ მალიორკას“ მწვრთნელი ლუის არაგონესი ესპანეთს ნაკრების მწვრთნელის თანამდებობაზე ინაკი საესს სიამოვნებით შეცვლის. თავად თქვა ამის შესახებ.

„ძალიან ვამაყობ, როდესაც მესმის, როგორ მასახელებს ხალხი ნაკრების მომავალ მწვრთნელად — განაცხადა 65 წლის სპეციალისტმა — ვფიქრობ, მართლაც დადგა ჩემი დრო და ცხადია თანამდებობა, რომელთან დაკავშირებითაც ჩემს გვარს ახსენებენ, ძალიან მინდა. მსურს აგრეთვე საყოველთაოდ გამოვაცხადო, რომ ჩემთვის ნაკრების მწვრთნელობა არავის შემოუთავაზებია და ვიცი, რომ თანამდებობას ჩემი სხვა კოლეგებიც დიდი სიამოვნებით დაიკავებდნენ. მეორე მხრივ, ვიმეორებ, რომ ნამდვილად არ უარვყოფ, ეროვნული გუნდის მეთაურობაზე ვოცნებობ“.

საყოველთაო აღიარებით, დღეს ესპანურ ლიგაში ყველაზე გამოცდილი მწვრთნელი სწორედ არაგონესია, რომელიც დარწმუნებულია, რომ მორიგი დიდი ტურნირის ჩაგდების მიუხედავად, მისი ქვეყნის ნაკრებს დიდი მომავალი ელის.

„ყველაფერზე მნიშვნელოვანი ის არის, რომ ესპანეთი ახალგაზრდული გუნდია, საშუალო ასაკი 24 წელიწადი გახლავთ, რაც ინაკი საესის დამსახურებაა და ამ დამსახურებას ვერავინ წაართმევს“ — ამბობს არაგონესი.

ესპანეთის ფეხბურთის ფედერაცია გადაწყვეტილებას ორ კვირაში მიიღებს. ლუის არაგონესის გარდა ესპანეთის ნაკრების მწვრთნელობაზე პრეტენზიას აცხადებს ბენიტო ფლორო, ხუანდე რამოსი და ვიქტორ ფერნანდესი.

პაპუნა კედია

ნახევარდაცვას მიხედე, ნვენ!

ბექემს გვირგვინი დაუვარდა

ხომ შევთანხმდით, რომ პორტუგალიისა და ინგლისის ნაკრებების მეოთხედფინალური მატჩის გამოძახილი დაუსრულებელი უნდა იყოს?! ამიტომ თემა განვაგრძოთ და ისევ ბრიტანულ გაზეთებში ჩავიხედოთ, სადაც ყველაზე დიდი კითხვის ნიშანი, პირველი ემოციის გასვლის შემდეგ, მიმომხილველებმა თავიანთი გუნდის ნახევარდაცვას დაუსვეს.



ვნახოთ, მაგალითად, რას სწერს „სანდი ტელეგრაფის“ ჟურნალისტი პატრიკ ბერსლი. იგი ამბობს:

„ინგლისური ფეხბურთის პრობლემა ის არის, რომ ჩვენს ქვეყანაში ბურთის ფლობის ფასი არ ესმით კარგად, არადა, ბურთის ფლობა დაღლის საწინააღმდეგოდ საუკეთესო წამალია, ჩვენ ხომ ბურთს, უბრალოდ, გასაგორებლად არასოდეს ვეკარებით. ორი წლის წინ, მსოფლიოს ჩემპიონატზე, ბრაზილიასთან და ახლა პორტუგალიასთან იმიტომ დავმარცხდით, რომ ამ გუნდებს სწორედ ბურთის თრევა უყვართ“.

შემდეგ ბერსლი წერს, რომ ერიკსონმა გუნდის ნახევარდაცვა ისე ააწყო, რომ მასში ბურთის მთრეველი მოთამაშისთვის ადგილი საერთოდ არ გამოჰყო, მაშინ, როდესაც სხვა გუნდებში ამ თვისებების მოთამაშეთა წყვილები ჰყავდათ ჩასმული. მეორე მხრივ, ასეთი გადაწყვეტილება მწვრთნელს, ჟურნალისტის აზრით, არც გაემტყუნებოდა, რადგან იგი კონკრეტული მონაცემების მქონე კონკრეტული ფეხბურთელებიდან უნდა ამოსულიყო.

„ფილ ნევილსა და ოუენ ჰარგრივსის სტივენ ჯერარდისა და პოლ სქოულზის ნაცვლად შეყვანამ გუნდს ის მოუტანა, რომ პორტუგალიელთა საპასუხო გოლის შემდეგ მანევრირებისთვის მარაგი აღარ არსებობდა. მოედანზე ერთმანეთის წინაშე ფეხბურთელთა და ჯაჯგურათა გუნდები იყო დარჩენილი“ — დასძენს ბრესლი.

„ინდიპენდენტის“ მიმომხილველი ჯეიმს ლოუტონი კი ასე მსჯელობს: „შვეიცარიასთან შეხვედრამდე ჩვენ ჯერ კიდევ ვკამათობდით ნახევარდაცვაში ოთხი მოთამაშის მოკრივად განლაგების უპირატესობაზე და კრისტალურ სისტემაზე, მე კი არასდროს მსმენია ისეთი გამარჯვებული გუნდის შესახებ, რომლის მწვრთნელიც მართვისას სრულიად დემოკრატიულ პრინციპებს ჰქადაგებს. ჯოკ სტინი ასე არ იქცეოდა, ალფ რამსეი ასე არ იქცეოდა, და საეჭვოა, ალექს ფერგისონი იქცეოდეს ასე. ერიკსონი ცხადია, გონიერი კაცია, მაგრამ როგორც გუნდის მოქანდაკემ რა გააკეთა, ნამდვილად ვერ გეტყვით, ინგლისის ნაკრები, როგორც გუნდი, აშკარად ვერ განვითარდა და ვერ ითამაშა ის ფეხბურთი, რომელიც რაიმე მნიშვნელოვანს მოგვაგებინებდა. ერთი-ორი გამონკლისის გარდა ჩვენების თამაში მეტად საშუალო იყო. მაგალითად სტივ ჯერარდი, რომელსაც მსოფლიო კლასის მოთამაშის სახელი აქვს, მაგრამ პორტუგალიელ მარცხენა მცველს ლამის ათზე მეტჯერ მიაწოდა ბურთი შეცდომით“.



დეივიდ ბექემი

უეინ რუნი

„ლონდონ ივნინგ სტანდარტის“ ჟურნალისტი მაიკლ ჰარტი მიიჩნევს, რომ ინგლისის ნაკრებისთვის ყველაზე პოზიტიური მომენტი უეინ რუნი გახლდათ.

„ხშირად უთქვამთ, რომ ჩვენი ფეხბურთი ერთგანზომილებიანია, მაგრამ რუნი სხვა შემთხვევაა, მისი თამაში მოწინააღმდეგისთვის მოულოდნელი და ამოუცნობია. საზოგადოდ, ჩვენ გვყავს კარგი ახალგაზრდა ფეხბურთელები, მაგრამ ასეთები ბევრჯერ გვყოლია. ყველაზე მთავარი საკუთარი თავისადმი პრეტენზიის წაყენებაა. ჩვენ გვინდა საკუთარ ახალგაზრდებს დითირამბები ვუმღეროთ და ჩვენი მოსახლეობა დავაჯეროთ, რომ ისინი მომავალი გამარჯვებულები არიან, ერთ მშვენიერ დღეს ასე მოხდება, მაგრამ დღეს, იმ მშვენიერი დღის დადგომამდე ჩვენი ნაკრები მეოთხედფინალში გავარდა და... კიდევ ერთხელ დავიწყეთ გაწბილებულებმა მიზეზების ძებნა“.

ჯონ რიჩარდსონი, „სანდი ექსპრესი“

„ბექემი პორტუგალიაში მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო ფეხბურთელის შარავანდედით ჩავიდა და უკან საშუალო ნიჭის ადამიანის სახელით ბრუნდება. ფეხბურთელები თავად ხვდებიან ვინ არის მათი ლიდერი. პორტუგალიის ნაკრებთან შეხვედრაში ლიდერი ბექემი კი არა, ჯერარდი გახლდათ. ბექემს გვირგვინი ჩამოძვრა, ერიკსონმა კი ის სხვას ვერავის დაახურა“.

პაპუნა კედია

EURONEWS

ეროვნული ბიბლიოთეკა

იცნობდეთ: ახალი იტალიელები!

ლიპის აძურას 18 აგვისტოს ნახავთ



მარჩელო ლიპის სადებიუტო მატჩი „სკუადრა აძურას“ თავკაცის თანამდებობაზე 18 აგვისტოს ისლანდიის ნაკრების წინააღმდეგ გაიმართება, იტალიური პრესა კი დღეიდანვე მკითხაობს იმ ტაქტიკურ ცვლილებებზე, რომლებსაც „იუენტუსის“ ყოფილი თავკაცი განახორციელებს. მედიას ეჭვი არ ეპარება, რომ ლიპი მისი წინამორბედის, ჯოვანი ტრაპატონის მიერ ევრო 2004-ზე დაშვებულ შეცდომებს ამოიცნობს და გაითვალისწინებს.

მაგალითად, ძალიან ხშირად წერენ, რომ ლიპი თავის საყრდენ პოზიციად „მილანის“ ნახევარდაცვას ამოირჩევს. ეს ის ნახევარდაცვაა, რომელსაც ევროპის ჩემპიონატზე შვედებთან 1:1 მოჰყვა, თუმცა იმასაც ამბობენ, რომ ახალი მწვრთნელი ამ სისტემას მეტისმეტადაც არ მიეჯაჭვება და მადრიდის „რეალის“ 4-2-3-1 განლაგებისთვისაც დატოვებს ადგილს.

უფრო გასაგებად რომ ვთქვათ, ეს ყველაფერი იმას ნიშნავს, რომ იტალიური პრესის აზრით, მარჩელო ლიპი, ჯოვანი ტრაპატონის მიერ დაწუნებული ანდრეა პირლოსა და ჯენარო გატუზოს წყვილს დაეყრდნობა, თუმცა არც სხვა ვარიანტებს დატოვებს გულგრილად.

გარდა ამისა, ასახელებენ კონკრეტულ გვარებს, რომელთანც 18 აგვისტოს მატჩისთვის ჩამოწერილ სანაკრებო სიაში ამოვიკითხავთ. კერძოდ, საუბარია „იუვეს“ ენცო მარესკაზე და 21-წლამდელ ევროპის ჩემპიონებზე, „რომას“ დანიელე დე როსიზე, „უდინეზეს“ პამპიერო პინციზე და „პარმას“ მარკო მარკონიზე.

კრისტიან ვიერი უკვე ასაკოვანია და ცუდ ფორმაშია, ამიტომ იტალიელ ჟურნალისტთა ვარაუდით, იგი ნელ-ნელა ნაკრებს გამოეთხოვება, ხოლო მის ნაცვლად ლიპი ასევე 21-წლამდელ ალბერტო ჯილარდინოს ათამაშებს. შეგახსენებთ, რომ ჯილარდინო „პარმას“ ახალგაზრდა ვარსკვლავია, რომელმაც გასულ სეზონში სერია A-ში 23 გოლი გაიტანა.



ალბერტო ჯილარდინი

დაცვაში, სავარაუდოდ, ალესანდრო ნესტასა და ფაბიო კანავაროს დრო გადის. ჯანლუიჯი ძამბროტასი კი მეტად და მეტად დგება. შემდეგ მცველებად მოიაზრებენ მასიმო ოდო „ლაციოდან“, რომელიც ლიპის „იუვენტუსში“ მუშაობისას ძალიან უნდოდა თავის გუნდში გადაეყვანა და სამპდორიელი აიმო დიანა.

კიდევ, ამბობენ, რომ ლიპის ნაკრებში ვიხილავთ ჩეზარე ბოვასაც, თუმცა მას შეიძლება ერთი სერიოზული პრობლემა გამოუჩნდეს, „ლეჩედან“ „რომაში“ გადადის და თუ რომაელებმა ხშირად არ ათამაშეს, კარგ ფორმაში ველარ იქნება.

და ბოლოს, მარჩელო ლიპის მოსაფიქრებული ჰყავს მეკარე ფრანჩესკო ტოლდოს შემცვლელის ანუ ჯანლუიჯი ბუფონის, გნებავთ, მეწყვილის, გნებავთ, სათადარიგოს ვინაობა. ამ პოზიციასთან ახლოს ივან პელიცოლია, თუმცა ბოლო დროს უდინელი მორგან დე სანკტისის აქციებმაც მოიმატა.



ლიპის გუნდში ჯენარო გატუზოს ადგილი მოიძებნება, კრისტიან ვიერისა კი, ალბათ, არა

პაპუნა კედია

სხვა ებე ეძებე



ებე სანდი

საბერძნეთთან მატჩში ლუიშ ფელიპე სკოლარიმ დეკოს რუი კოშტა ამჯობინა, მაგრამ რუსებთან შეხვედრაში ბრაზილიელმა ძირითად შემადგენლობაში ადგილი „პორტუს“ ნახევარმცველს ანდო და არც შემცდარა. დეკომ მომდევნო ორ თამაშშიც გაუმართლა სკოლარის, ახლა კი უკვე ფინალზე ფიქრობს

დანიის ნაკრები ჩეხეთმა ევროპის ჩემპიონატიდან გამოთიშა. შესაბამისად, დანიელებს დასვენება და შემდგომ შეჯიბრებაზე ფიქრი დარჩათ საკეთებლად. ეს კი პირდაპირ ეხება საქართველოს ნაკრებს — დანია, ისევე როგორც ევრო 2004-ის ჯერ კიდევ მონაწილე, საბერძნეთი, საქართველოს მეტოქეა მსოფლიოს 2006 წლის ჩემპიონატის შესარჩევ შეჯიბრებაში. ამიტომაც, ნებისმიერი ცნობა მორტენ ოლსენის გუნდიდან მნიშვნელოვანია. ცნობა კი ასეთია: 31 წლის თავდამსხმელი, ებე სანდი ნაკრებიდან მიდის.

„ვგრძნობ, რომ სწორედ ახლაა ყველაზე მოხერხებული მომენტი ნაკრებიდან წასასვლელად — თქვა ნაკრებში 66 შეხვედრის მონაწილემ და 22 გოლის გამტანმა „ეკსტრაბლადეტთან“ ინტერვიუში — მე რომ სანაკრებო კარიერა 2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატამდე გამეგრძელებინა, ორ სკამზე ჯდომა გამომივიდოდა. ნაკრებში ჩინებული კარიერა მქონდა, მაგრამ ბოლო თამაშში დავშავდი და ამან დამატებითი იმპულსი მომცა“.

დანიელთა მწვრთნელმა, მორტენ ოლსენმა კი განაცხადა, რომ სანდისა ესმის:

„ებე სანდი მოვიდა ჩემთან და ყველაფერზე მესაუბრა, მე მას გავუგე“.

ამბობენ, რომ წასვლას აპირებს რენე ჰენრიკსენიც.

პაპუნა კედია

ლუიშ ფელიპე სკოლარიმ მემარჯვენეები აღმოაჩინა



მიგელი

ლიგა) უკვე მოვიგე. ძალიან მსურს, მიჯრით მესამეც მივაყოლო და უნიკალურ შედეგს მივაღწიო. „პორტუს“ ფეხბურთელებს საამისოდ საკმაო გამოცდილება აქვთ. ინგლისთან შეხვედრაში მწვრთნელმა პოზიცია რამდენჯერმე შემიცვალა, განსაკუთრებით მარჯვენა ფლანგზე გამიჭირდა, რადგან პირველად მომიწია იქ თამაში. რაც შეეხება გულშემატკივრებს, მსგავსი ქომაგობა არასოდეს მინახავს. მათ გოლი არ გაუტანიათ, მაგრამ ინგლისელებთან გამარჯვებაში უდიდესი წვლილი შეიტანეს“.

ლუიშ ფელიპე სკოლარიმ ბერძნებთან მატჩის შემდეგ მარჯვენა მცველი პაულუ ფერეირაც შეცვალა და მისი ადგილი მიგელს ანდო. ბრაზილიელი მწვრთნელი ამ შემთხვევაშიც არ შემცდარა. მიგელმა ოთხი მომდევნო შეხვედრა მაღალ დონეზე ჩაატარა: „ქვეყანა ეიფორიაშია და სწორედ ახლა გვჭირდება ცივი გონება, რათა ჰოლანდიელებთან ფეხი არ დაგვიცდეს. მიხარია, რომ ჩვენი ნაკრები მატჩიდან მატჩამდე უმატებს და ეს ძალიან მაიმედებს. სკოლარიმ ჩემში მცველი აღმოაჩინა და ვფიქრობ, გავუმართლე. ნახევარფინალშიც თუ ძირითად შემადგენლობაში გამამწესებს, ისევე გულიანად ვითამაშებ, როგორც ინგლისთან. კრიტიკოსები ხომ გავაჩუმე და ღმერთის წყალობით ტრავმებიც ავიცილე, ახლა შემიძლია, 90 წუთის განმავლობაში მოუღლელად ვირბინო“— ამბობს მიგელი.

ვაჟა ხუციშვილი

ბარსელონა დროს არ ჰკარგავს

ჟიული ნაღდია, ლარსონიც თითქმის და ალბათ დეკოც

ამ ევროპის ჩემპიონატის გადამკიდე, ლამისაა ძალიან მნიშვნელოვანი ამბები ყურადღების მიღმა დაგვრჩეს, არადა, „ბარსელონაში“ მართლა ფრიად საინტერესო რამეები ხდება. მკითხველის მოთმინებით ბოროტად რომ არ ვისარგებლოთ, თავშივე ვთქვათ, რომ კატალონიელებმა, ფაქტობრივად, გაჩარხეს დეკოს და ჰენრიკ ლარსონის ტრანსფერები. ახლა უფრო წვრილად მოვყვეთ რა ხდება.

გუშინ ხუან ლაპორტამ ლუდოვიკ ჟიულის „ბარსელონას“ მაისურა მოარგო

პორტუში, რესტორან „დე მანუელში“ ერთმანეთს შეხვედრიან „პორტუს“ პრეზიდენტი პინტუ დე კოშტა და „რეალის“ გადამდგარი პრეზიდენტი ფლორენტინო პერესი, ეს უკანასკნელი „რეალის“ ახალი საპრეზიდენტო არჩევნებამდე ერთი თვით ადრე გადადგა და ხელახლა იყრის კენჭს, იქამდე კი პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებლად რჩება. გემრიელმა კერძებმა მოლაპარაკების წარმატებით დასრულებას ხელი ვერ შეუწყო, სამაგიეროდ, მეორე დღეს იმავე რესტორანში და კოშტას და „ბარსას“ პრეზიდენტის, ხუან ლაპორტას საუბარი უფრო შედეგიანი გამოდგა.

ვერ მოგახსენებთ, საიდან, მაგრამ პორტუგალიელ ჟურნალისტებს ამ საიდუმლო საუბრის შინაარსი შეუტყვიათ. და კოშტას ლაპორტასთვის უთქვამს, „ჩელსი“ დეკოში 20 მილიონ ევროს მთავაზობსო და ნაკლებს ცხადია, არ დავყაბულდებიო. ლაპორტას თავი მოუფხანია, ამდენის შოვნა გამიჭირდებაო და ეგებ თანხის ნაწილი ნატურით, სხვა ფეხბურთელით აგინაზღაუროო. „ბარსა“ „პორტუს“ დეკოს სანაცვლოდ ფულს და კვარესმას სთავაზობს. რამდენად შეაფასებენ კვარესმას ჯერ უცნობია, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ, რომ შარშან ეს ფეხბურთელი კატალონიელებს 6 მილიონი დაუჯდათ, ალბათ ამავე თანხაზე იქნება ლაპარაკი, ანუ დეკო „ბარსას“ 14 მილიონად ულირს. აქ პრობლემა ის ყოფილა, რომ „ბარსას“ კვარესმას „პორტუში“ იჯარით გაშვება ურჩევნია, „პორტუს“ კი ეს ვარიანტი არ აწყობს. საბოლოოდ ალბათ იმაზე შეთანხმდებიან, რომ კატალონიელები კვარესმას პორტუგალიელებს დაუთმობენ, მაგრამ მომდევნო ორ წელიწადში გამოსყიდვის უფლებას დაიტოვებენ. კიდევ ერთი პრობლემა ის არის, რომ დეკოს შეძენაზე უპირველესი უფლება ლიგის „სპორტინგს“ ეკუთვნის და ამ უფლებით სარგებლობის ვადა ამ თვის ბოლოს იწურება. მაგრამ ეს დიდი პრობლემა არ უნდა იყოს, რაკი „სპორტინგი“ ნახსენები 20 მილიონის შემგროვებელი არ არის.

და თუ რამე სიურპრიზი არ მოხდა და დეკო „ბარსაში“ გადავიდა, მისი კონტრაქტი 5-წლიანი იქნება. სიურპრიზი კი მხოლოდ ერთი რამ შეიძლება იყოს — რომან აბრამოვიჩმა მაზანდა უნდა გაზარდოს და „პორტუს“ ისეთი თანხა შესთავაზოს, უარს რომ ვერ იტყვის.

„ბარსას“ დეკო ედგარ დავიდსის შემცვლელად ეგულება, რომელიც „ბარსადან“ წავიდა, „იუვენტუსში“ აღარ დაბრუნდა და ამბობენ, „ინტერში“ მივაო. აქვე ვთქვათ, რომ დეკოს თითქმის გადაბირებამ „ბარსას“ სურვილი, მიხაელ ბალაკიც გადაიბიროს, ვერ გაანელა. კატალონიელები ამბობენ, ეს ორი ფეხბურთელი ძალიან კარგად შეეწყობიან ერთმანეთს მოედანზეო. სხვათა შორის, ამ მოსაზრებას არ ეთანხმება „ბაიერნი“, რომელსაც თავად სურდა დეკოს ყიდვა, ოღონდ იმ შემთხვევაში, ბალაკს თუ გაყიდდა. „ბაიერნში“ თვლიან, რომ დეკოს და ბალაკის მოედანზე ერთდროულად ყოფნა უსარგებლოა.

თითქმის გადაწყვეტილია „ბარსაში“ ჰენრიკ ლარსონის გადასვლაც. შვედის აგენტმა რობ იენსენმა თქვა, მოლაპარაკება ძალიან კარგად მიდის, პრინციპულ საკითხებზე უკვე შევთანხმდით და ახლა დეტალებსღა ვაზუსტებთო. პრინციპულ საკითხებზე ლარსონის აგენტთან თვით ლაპორტას ულაპარაკია, დეტალებს კი ვიცე-პრეზიდენტი სანდრო როსელი და სპორტული დირექტორი ჩიკი ბეგირისტაინი აზუსტებენ.

ბოლოს კი გავიხსენოთ, რომ „ბარსამ“ ამ რამდენიმე დღის წინ „მონაკოდან“ ლუდოვიკ ჟიული გადაიბირა.

კოტე კეკელია





დეკო და ჰენრიკ ლარსონი სავარაუდოდ ბარსელონელები გახდებიან

ფეხბურთის რუკასთან

ესპანეთის ჩემპიონატის დებიუტანტ „ლევანტეს“ იაროსლავლის „შინიკის“ ლატვიელი ნახევარმცველის ანდრეის რუბინსის გადაბირება სურს. „ესპანელებმა ხუთწლიანი კონტრაქტი შემომთავაზეს საკმაოდ კარგი პირობებით, თუმც კლუბები ჯერ არ შეთანხმებულან და იმედი მაქვს, რომ ეს მალე მოხერხდება“ — აღნიშნა რუბინსმა. მისით გერმანული „მიონხენგლადბახი“, „ჰანოვერი“ და „ჰამბურგი“ იყვნენ დაინტერესებულნი. ამასთანავე, „ლევანტეს“ კიდევ ერთი ლატვიელის, იგორს სტეპანოვსის შეძენაც უნდა.

რუსეთის ნაკრების კაპიტანი ალექსეი სმერტინი ლონდონის „ჩელსიში“ ბრუნდება. გასული სეზონი სმერტინმა საკმაოდ კარგად ჩაატარა „პორთსმუთში“ და კლუბს მისი კიდევ ერთი წლით თხოვება სურს, მაგრამ თავად ფეხბურთელს „ჩელსიში“ დაბრუნება და ძირითადში მოხვედრისთვის ბრძოლა ურჩევნია. „ცოტა ხნის წინ ჟოზე მაურინიუსა და რომან აბრამოვიჩს შევხვდი. მწვრთნელმა მითხრა, რომ ყველაფერი ჩემზეა დამოკიდებული და მეც გადავწყვიტე, გუნდში ადგილის დამკვიდრებას შევეცადო“ — განაცხადა სმერტინმა.

ესპანური „ბილბაოს“ პრეზიდენტმა იგნასიო უგარტეკსემ პოსტის დატოვება გადაწყვიტა. ბასკური კლუბის ახალ მმართველს სექტემბრის დასაწყისში აირჩევენ. „მე ჩემი პროგრამა შევასრულე, გუნდი ევროთასებს დაუბრუნდა და ფინანსური მდგომარეობაც სტაბილურია, მაგრამ მომავალ არჩევნებში მონაწილეობას აღარ ვაპირებ“ — განაცხადა უგარტეკსემ.

ფრანგული „სოშო“ მოსკოვის „დინამოს“ ფორვარდ დმიტრი ბულიკინით დაინტერესდა. პიერ-ალენ ფროს „ლიონში“ წასვლის შემდეგ, კლუბი წამყვანი თავდამსხმელის გარეშე დარჩა. „სოშო“ ელდერ პოსტიგას შეძენაზეც არ არის უარს, მაგრამ „ტოტენჰემი“ პორტუგალიელთან განშორებას არ აპირებს. დმიტრი ბულიკინს კი ფრანგების გარდა ლივერპულის „ევერტონიც“ უტრიალებს.

ესპანურმა „დეპორტივომ“ მანიშე რიბეირუს გადაბირება მოიწადინა და უკვე კონტრაქტიც გაამზადა. საბოლოოდ ყველაფერი ევრო 2004-ის შემდეგ გაირკვევა. „დეპორტივოში“ თამაში ყველა ფეხბურთელისთვის დიდი პატივია. თანაც თუ ლა კორუნიაში გადავალ, ოჯახთან ძალიან ახლოს ვიქნები“ — თქვა მანიშემ.

ინგლისური „პორთსმუთის“ თავკაცი ჰარი რედნაპი ფორვარდს ეძებს. ლომანა ლუა ლუასთან და მარკუს ბენტთან წარუმატებელი მოლაპარაკებების შემდეგ ინგლისურმა კლუბმა მარეკ ჰაინცს დაადგა თვალი. ჩეხეთის ნაკრებისა და ოსტრავის „ბანიკის“ ფორვარდის სავარაუდო ფასი 1,7 მილიონი გირვანქაა. „ჰაინცი ბრწყინვალედ თამაშობს ევროპის ჩემპიონატზე. ჩინებული ბომბარდირია, გასულ სეზონში თავის კლუბს 19 გოლით შეეწია და ქვეყნის ჩემპიონატი მოაგებინა“ — განაცხადა რედნაპმა.

იტალიური „იუვენტუსი“ დიდი ხანია, მარეკ იანკულოვსკის უტრიალებს. ევრო 2004-ზე ჩეხი მცველის კარგი თამაშის შემდეგ კი ტურინელები უფრო გააქტიურდნენ. „ბებერი ქალბატონი“ მზადაა, იანკულოვსკის სანაცვლოდ 4 მილიონი ევრო და მატეო ბრიგი დაუთმოს „უდინეზეს“. კლუბის გამოცვლა თავად იანკულოვსკისაც სურს.

ესპანურმა „ბარსელონამ“ ალბერტ ლუკეს პირადი კონტრაქტის დეტალები უკვე შეათანხმა და უახლოეს დღეებში ლა კორუნიის „დეპორტივოსთანაც“ ეცდება საერთო ენის გამონახვა. ვარაუდობენ, ტრანსფერი ოფიციალურად ხვალ ან ზეგ განხორციელდება.

არგენტინა

კლაუსურა. XIX ტური

ოლდ ბოიზი — ესტუდიანტესი 0:0; ინდეპენდიენტე — ნუევა ჩიკაგო 2:1; რივერ პლეიტი — ატლეტიკო 1:1; სან ლორენსო — ბოკა ხუნიორსი 1:0; რასინგი — ოლიმპო 1:1; კილმესი — ტალიერესი 0:0; ბანფილდი — როსარიო 1:1; კოლონი — ჩაკარიტა 1:2; არსენალი — ლანუსი 2:0; ხიმნასია — ველესი 1:0

ამ წლის არგენტინული კლაუსურა „რივერ პლეიტმა “ მოიგო, მას მერე, რაც კვირას შინ 1:1 ეთამაშა „ატლეტიკოს“.

მოგეხსენებათ, რომ არგენტინაში თუ რამ უცნაურობა არ მოხდა, ჩემპიონობისთვის „რივერი“ და „ბოკა“ იბრძვიან. ისიც მოგეხსენებათ, რომ ეს ორი გუნდი ლიბერტადორესის თასის ნახევარფინალში შეხვდნენ რამდენიმე კვირის წინ ერთმანეთს და „ბოკამ“ პენალტებით გაიკვალა გზა ფინალისკენ. ჰოდა, რა გასაკვირია, რომ „რივერი“ მთლიანად შინაურ ჩემპიონატზე გადაერთო, „ბოკა“ კი მთელ ყურადღემას ლიბერტადორესის თასის მოგებას უთმობს.

„რივერის“ 32-ე ტიტული კი პირველი სამწვრთნელო გამოდგა 35 წლის ლეონარდო ასტრადასთვის, ვინაც ამ საქმიანობას ექვსი თვის წინ შეუდგა, იქამდე კი „რივერის“ მოქმედი ფეხბურთელი იყო.

საბოლოო ცხრილი

რივერ პლეიტი	19	12	4	3	41:21	40
ბოკა ხუნიორსი	19	10	6	3	34:17	36
ტალიერესი	19	10	5	4	30:19	35
ბანფილდი	19	9	5	5	27:17	32
ველესი	19	9	4	6	31:21	31
კილმესი	19	7	8	4	21:16	29
არსენალი	19	7	8	4	21:22	29
რასინგი	19	8	4	7	29:29	28
ატლეტიკო	19	7	5	7	25:24	26
სან ლორენსო	19	6	8	5	18:16	26
კოლონი	19	7	4	8	20:26	25
ოლდ ბოიზი	19	4	10	5	28:25	22
ინდეპენდიენტე	19	5	7	7	21:27	22
ესტუდიანტესი	19	5	6	8	19:29	21
ლანუსი	19	5	5	9	21:27	20
ოლიმპო	19	4	7	8	18:28	19
ხიმნასია	19	3	8	8	21:26	17
ნუევა ჩიკაგო	19	2	11	6	18:27	17
ჩაკარიტა	19	3	8	8	21:34	17
როსარიო	19	2	7	10	16:29	13

eurofan2004@hotmail.com

ნათიაო, ნათიაო, გოგოვ, რა დაგმართნიაო...

დღევანდელი მიმოხილვა სამწუხარო ამბით უნდა დავიწყოთ: ნათიამ, რომლის დანიაზე დადებულ ფსონს, 100 დოლარს, ჩვენი რუბრიკის მკითხველთა ნახევრი ქომაგობდა, წააგო. თუმცა ეს ხომ უკვე იცით. სამწუხარო კი ის არის, რომ გულმოკლული ნათია დაგვემშვიდობა, მეტს აღარ მოგწერთო.

NATIA 1111: გული დამწყდა დანიის გამო, მაგრამ მაინც კარგი გუნდია. არანაირად არ ვგულშემატკივრობ დარჩენილებს, ისეთი ბედი მაქვს, არ გამიკვირდება ჩეხეთი რომ გახდეს ჩემპიონი. თავიდანვე ყველაზე ძალიან მაგ გუნდს ვერ ვიტანდი. მორჩა ჩემი წერილები. კარგად მენახე.

რა ვქნათ ხალხო, ეგებ ყველამ ერთად ვთხოვოთ ნათიას, კიდევ მოგვწეროს. არადა, მგონი მართლა ჩეხეთი ხდება ჩემპიონი...

მომდევნო წერილი კი იმ კაცისგანაა, ჩეხეთის ნაკრები ძალიანაც რომ მოსწონს.

SOSOGAGNIDZE: სამართალმა პური ჭამა. მსახიობებს საფეხბურთო ჩემპიონატებზე არაფერი ესაქმებათ. სკანდინავიელებს იტალიელთა ცოდვამ უწიათ. წინა წერილებში ვწერდი, ჩეხებს გაუმარჯოთ-მეთქი, დიდად მოხარული ვიქნები, თუ ჩემპიონები გახდებიან. მაგაზე ჯიგრიანად ფეხბურთს ევრო 2004-ზე არავინ თამაშობს. „სკუადრა აძურას" ფანებს გილოცავთ ფეხბურთის მათხოვრებზე ალალ გამარჯვებას. ყველამ დიდი მადლობა მოვუხადოთ ჩეხებს და ჰოლანდიელებს ვენდეტასთვის.

კარგი რა, სოსო, ნათიას გასაგონად მაინც ნუ დაუძახებდი დანიის ნაკრებს მათხოვარს. რაც შეეხება სკანდინავიელებზე ვენდეტას, ეგებ ამან მაინც ანუგეშოს მომდევნო წერილის ავტორი:

— ესპანეთის, საფრანგეთის, ინგლისისა და გერმანიის გავარდნა კანონზომიერი იყო. იტალია კი „გააგდეს". სკანდინავიური 2:2 ოთხი დღით ადრე ჩავწერე გრაფაში. უსამართლობაა, საბერძნეთი და ჰოლანდია 4 ქულით გავიდა მეოთხედფინალში, იტალია კი 5 ქულით ჩარჩა. საერთოდ, „აძურა" ასე იწყებს, თორემ მერე... ტოტი უნამუსოა, მისი ფასი დავარდება. ვერ გავიგე პეროტას რა უნდოდა, აი, სხვები კი მაგრები არიან, თუმცა ჩამოსახრჩობი ტრაპია. მან ევრო 2004-ს მოაკლო ინძაგი და ჯირალდინო. „კატენაჩო" მაგარია, თუმცა შვედებთან ასე არ უნდა დაეწყოთ თამაში. ასე თუ ისე, **FINITA LA COMEDDIA**. რაღა დარჩა — პორტუგალია? ალბათ გახდება (ან გახდიან) ჩემპიონი. საბერძნეთის გასვლა ნახევარფინალში ამ ჩემპიონატის უაზრო პიკი იყო. დაველოდოთ მსოფლიო 2006-ს. „სკუადრა აძურა" იქ იმარჯვებს! **ITALIA CHAMPEON!**

სერგი

ჩემო სერგი, შენ კი ფიქრობ, რომ ბერძნების ნახევარფინალში გასვლა უაზრობა იყო, მაგრამ ნახე, რას ფიქრობს ამაზე **SUPERMARIO**, საბერძნეთი თავისით კი არ გავიდა, ერთი გერმანელი მეგულება და იმან გაიყვანა აზრიანადო:

— მზეგრძელი იყოს მეფე ოტო! მან ევროპას აჩუქა საბერძნეთი, გერმანიას ბალაკი, ხოლო მსოფლიოს რუდი ფიოლერი და მარიო ბასლერი. რა ცოდვაა საფრანგეთი. მას ხომ სულ გერმანელები ამწარებენ.

მე კი დავძენდი: რა ცოდოა საქართველო, რომელსაც მხოლოდ გერმანია კი არა, ვისაც არ ეზარება, ყველა ამწარებს.

საქართველოს ნაკრების თემა კი **KAKHA**-ს წერილით გავაგრძელოთ:

— „სარბიელს" გაუმარჯოს მის ვებმასტერიანად!!! ბევრი ვიფიქრე თუ ცოტა, კიდევ ერთხელ გადავწყვიტე თქვენთვის მომეწერა: რა გვეიტალიელება და გვეგერმანელება (ან გვეინგლისელება და გვეფრანგება) ხალხო, არ ჯობია ჩვენ გაჭირვებულ საქართველოს მივხედოთ? ეს დანია და საბერძნეთი (თურქეთზე არაფერს ვამბობ) ხო დაგვანგრევენ?

არა?

ჰოდა, მეც მანდა ვარ, მაგრამ ამ „არას" რომ ძალიან ცოტა იტყვის (საერთოდ თუ იტყვის ვინმე) ეგაა ჩვენი უბედურება. ძალიან მინდა, რომ მომავალ მსოფლიოს ჩემპიონატზე „სარბიელი" ასეთ **MUNDIALFAN2006**-ს რომ გააკეთებს, ყველამ საქართველოს ნაკრების თამაშებზე ვილაპარაკოთ და გავარჩიოთ.

თქვენი კახა

კახა ჯიგარია, საქართველოს ნაკრებზე ლაპარაკი კი მალე მოგვიწევს, რაღა დარჩა შესარჩევი ეტაპის დაწყებამდე. დღეს კი ამით დავამთავროთ

ხვალინდელ მიმოხილვაში კი იხილეთ: როგორ დაკარგეს მამა მაფიამ და დედა უეფამ უფროსი შვილი, ალექს დელ პიეროს შოუ და სხვა საინტერესო წერილები.



ვებმასტერი ბუარა



eurofan2004@hotmail.com

ოპიეფი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯარელ ბრუჯნერი: რა ვიცი, მგონი, ჩემპიონები ვხდებით



ჯეპიანმა ფელიპე სპოლარიმ ჯერ ინგლისზე, მერე მანქანით გაისეირნა

გაბითურებულმა თომას ჰელვეგმა, მე ბუცების დირსი არ ვარო

სარბიელი: კროკო

წარმოგიდგენთ

ევროპის ჩემპიონატი 2004. ჯგუფური ეტაპი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		30 ივნისი						
22.45	029	პორტუგალია-ჰოლანდია	2,5	2,9	2,8	1,34	1,32	1,42
		1 ივლისი						
22.45	030	ჩეხეთი-საბერძნეთი	1,65	3,3	5,3	1,1	1,25	2,03

I ტაიმის შედეგი

		30 ივნისი						
5029	პორტუგალია-ჰოლანდია	2,9	2,05	3,3	1,2	1,54	1,26
		1 ივლისი						
5030	ჩეხეთი-საბერძნეთი	2,1	2,15	5,0	1,06	1,47	1,5

სხვა სახის ფსონებს გაეცნობით ადგილზე

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		შვედეთი. ალსვენსკა. გადადებული მატჩი						
		30 ივნისი						
21.00	461	მალმიო-იორგრიტე	1,65	3,4	4,8	1,11	1,22	1,99
		ისლანდია. პრემიერ დივიზიონი. VIII ტური						
		29 ივნისი						
23.15	504	ფილკირი-ვესტმანაეიარი	1,5	3,8	5,3	1,07	1,16	2,21
23.15	505	აკრანესი-ვიკინგური	1,3	4,4	7,0	1	1,09	2,7

CROCO BOOKMAKERS კროკო

ისარგებლეთ კროკოს ახალი მომსახურებით

CROCO BOOKMAKERS

ტელეკრედიტი TELCREDITI

10 42 00 24 +%

შემდეგ ეტაპზე გასვლა

	30 ივნისი	
7029	პორტუგალია-ჰოლანდია	1,7 — 1,9
	1 ივლისი	
7030	ჩეხეთი-საბერძნეთი	1,27 — 3,0

6003 ჩემპიონი

პორტუგალია	3,0
ჰოლანდია	3,0
ჩეხეთი	2,4
საბერძნეთი	7,5

CROCO BOOKMAKERS კროკო

ამჟამად კროკოს ბიუროები მუშაობს მხოლოდ აქვე მითითებულ მისამართებზე და არსად სხვაგან. ყველა სხვა ქალაქში ან დასახელებული ქალაქები სხვა მისამართზე კროკოს სახელის, სიმბოლიკის, კოეფიციენტების გამოყენება უკანონოა, შპს კროკოს არ ეხება და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ისჯება

კროკოს ბიუროთა მისამართები

თბილისი	ფურცელაძის ქუჩა №10	კინოთეატრ „რუსთაველის" შენობაში
	აღმაშენებლის გამზირი №70	
	გლდანის მასივი, ხიზანიშვილის ქუჩა №4	
	ვაჟა ფშაველას გამზირი №46	მეტრო „ვეტერინარ გიორგაძესთან" (ყოფილ „დელისი")
	წინამძღვრიშვილის ქუჩა №200	ეროვნულ სტადიონთან, ტელმანის ქუჩის კუთხეში
	გურამიშვილის გამზირი №50	მეტრო „ლრმაღელესთან"
	ნერეთლის გამზირი, კორპუსი №11	
	ჭავჭავაძის გამზირი № 41	
	გამსახურდიას გამზირი № 3	
	ვაჟა ფშაველას გამზირი №91	
	იოანე პეტრიწის ქუჩა №13	დიდი დიღომი, მეორე მიკრორაიონი
	ხუდადოვის ქუჩა №4	
	დიღომი, III კვარტალი, გრიგოლ რობაქიძის გამზირი, 1ა კორპუსი	
	ვარკეთილი, კალოუბნის „აბ" კორპუსი №48	
	მელიქიშვილის ქუჩა №15	
	ისანი - კახეთის გზატკეცილი	ისნის ბაზრობის მიმდებარე ტერიტორია
	ნერეთლის გამზირი №141	
ქუთაისი	პუშკინის ქუჩა№16	ტელეკომპანია „იმერეთის" შენობაში
	ფალიაშვილის ქუჩა№ 27	
	ჭავჭავაძის № 67	ცენტრალური ავტოსადგური
გორი	სტალინის ქუჩა №14	
თელავი	კოსტავას ქუჩა №23	
ხელვაჩაური	აღმაშენებლის ქუჩა № 50	
მარნეული	რუსთაველის ქუჩა №39	
ოზურგეთი	გურიის ქუჩა №23	
გურჯაანი	დავით გურამიშვილის ქუჩა №28	
ფოთი	რკალი, რუსთაველის №18	
საგარეჯო	დავით აღმაშენებლის №30	
სამტრედია	რუსთაველის გამზირი №27	
ხაშური	რუსთაველის ქუჩა №16	
წნორი	სტალინის ქუჩა №1	
ბორჯომი	რუსთაველის ქუჩა №145	
ზესტაფონი	გრიგოლ რობაქიძის ქუჩა №6	
ახალციხე	ნათენაძის ქუჩა №7	
რუსთავი	შარტავას ქუჩა №7	

რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს

(ცალკის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე ფსონი დაგებულად ჩაითვლება)

	30 მაისი	
5429	პორტუგალია-ჰოლანდია	1,85 — 1,95
	1 ივლისი	
5430	ჩეხეთი-საბერძნეთი	1,5 — 2,6

1-ლი ტაიმი/ძირითადი დრო.		1/1	1/X	1/2	X/1	X/X	X/2	2/1	2/X	2/2
	30 მაისი									
5129	პორტუგალია-ჰოლანდია	3,8	10,0	20,0	4,6	4,2	5,0	20,0	10,0	4,2
	1 ივლისი									
5130	ჩეხეთი-საბერძნეთი	2,3	10,0	25,0	3,5	4,8	9,0	20,0	10,0	8,0

რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

		I-ში	თანაბრად	II-ში
	30 მაისი			
5529	პორტუგალია-ჰოლანდია	3,0	2,8	2,0
	1 ივლისი			
5530	ჩეხეთი-საბერძნეთი	3,0	2,8	2,0

გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს (ძირითადი დრო)

		კი	არა
	30 მაისი		
5329	პორტუგალია-ჰოლანდია	1,7	1,9
	1 ივლისი		
5330	ჩეხეთი-საბერძნეთი	1,7	1,9

რამდენი გოლი გაკეთდება მატჩში. (ძირითადი დრო) (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

	30 მაისი		
5229	პორტუგალია-ჰოლანდია	1,6	2,0
	1 ივლისი		
5230	ჩეხეთი-საბერძნეთი	1,65	1,95

შესაძლო ცვლილებები ადგილზე დაგაზუსტეთ

ვის გადაჰყავს კალაძე: ბაიერნს თუ ჟურნალისტებს?

კახა კალაძე ახლა თბილისშია. საქართველოს ნაკრებისა და იტალიური „მილანის“ მცველი ოჯახისა და ახლობელ-მეგობრების გარემოცვაში ისვენებს.

ამას წინათ კი ინტერნეტით გავრცელდა ცნობა, მიუნხენის „ბაიერნი“ მზადაა, კალაძე იყიდოს და მის სანაცვლოდ „მილანს“ 7 მილიონი ევროც ჩაუთვალოსო. ფრანგმა ბიესენტ ლიზარაზუმ, რომელიც კალაძის დარად მარცხენა მცველია, მიუნხენური კლუბი თავისუფალი აგენტის სტატუსით უკვე დატოვა და ბავარიელები მისი სრულფასოვანი შემცვლელის ძებნაში არიან



კადრი ალბომიდან

მამა-შვილი კახა და კარლო კალაძეები

არეული ჩემპიონატის დაწყობილი დასკვნა: საბერძნეთი და დანია ძალიან ძნელია

— კონკრეტული არაფერი ვიცი, ისე კი „ბაიერნი“ ჩემდამი ინტერესს ადრეც იჩენდა — გვითხრა გუშინ კახამ — ერთხანს ლონდონის „ჩელსისაც“ სურდა ჩემი გადაბირება, თუმც ყველაფერი ლაპარაკის დონეზე დარჩა.

— მიუნხენელები დაინტერესებულნი ადრეც იყვნენო — როგორ ფიქრობ, სიტყვას საქმე რატომ არ მოაყოლეს?

— ეგ არ ვიცი. მე არავინ დამკავშირებია და არც კლუბში უთქვამთ რამე.

— ვთქვათ, შეგეხმიანენ და „ბაიერნში“ გადასვლა მართლა შემოგთავაზეს, წახვალ?

— „მილანს“ კონტრაქტით 2006 წლის ივნისამდე ვეკუთვნი და იტალიიდან წასვლის სურვილი არც მაქვს. სხვა საქმეა, თუ თვითონ „რომსონერი“ გადაწყვეტს ჩემს გაყიდვას.

— „მილანი“ ვარჯიშს როდის განაახლებს?

— 15 ივლისს მილანელოში ვიკრიბებით. ისინი კი, ვინც ევროპის ჩემპიონატზე ითამაშეს, მოგვიანებით შემოგვიერთდებიან.

— გუნდში ორი ახალი ფეხბურთელი უკვე მივიდა, ვიკაშ დორასო და იაპ სტამი...

— ფაქტია, ორივე გუნდს უფრო გააძლიერებს. დორასოს ნაკლებად ვიცნობ, სტამი კი ყველამ იცის, ვინცაა: მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო მცველი.

— „მილანში“ ბევრი მაღალი კლასის მცველია: კაფუ, ნესტა, მალდინი, ახლა კიდევ სტამი. ძირითადში ადგილის მოსაპოვებლად მაგარი კონკურენცია გელის.

— არ მეშინია. მე ჩემსას ვეცდები და გავაკეთებ, დანარჩენს კი ანჩელოტი გადაწყვეტს.

— თითქმის ყოველდღე ვრცელდება ინფორმაცია, „მილანი“ მეოთხე ძლიერ თავდამსხმელს ეძებსო... გყავთ შევჩენკო, ინძაგი, ტომასონი. მეოთხე ფორვარდი აუცილებელია?

— რამდენადაც ვიცი, უკვე სერიოზულად მუშაობენ ამ საკითხზე. „მილანის“ დონის გუნდში მუდამ ძლიერი ფეხბურთელები უნდა თამაშობდნენ. ვფიქრობ, ჩვენ უფრო ვიერის ტიპის ფორვარდი გვჭირდება.

— ევროპის ჩემპიონატი როგორ მოგწონს?

— არუელ ჩემპიონატია. ფავორიტები ვინც იყვნენ, ახლა ყველა სახლშია. ალბარანერს ვამბობ ფინალზე. ბუნებრივია, „ნკაადრა ძალურას“ ვქომაგობდი, იქ ხომ ჩემი მეგობრები თამაშობდნენ. ესპანეთის, საფრანგეთისა და გერმანიის სუსტმა თამაშმაც ძალიან გამაკვირვა.

— საბერძნეთზე და დანიაზე რას იტყვი, ორივე ხომ საქართველოს ნაკრების მეტოქეა მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევში...

— მშვენივრად ითამაშეს დანიელებმა, ბერძნებისგან კი უკვე არც ის გამიკვირდება, ფინალში თუ გავლენ. ფაქტია, ორივე ძალიან ძლიერი გუნდია და ერთობ რთული თამაშები გველის.

— მათ გარდა ჯგუფში თურქეთიც გვყავს და უკრაინაც, ალბანეთზე რომ არაფერი ვთქვათ. გვაქვს რაიმე შანსები?

— ყველაფერი ჩვენზეა დამოკიდებული, როგორ ვითამაშებთ და როგორი პასუხისმგებლობით მივუდგებით საქმეს.

— „ბაიერნით“ დავიწყეთ და „ბაიერნითვე“ დავამთავროთ. მაინც როგორ გგონია, რამდენად რეალურია ამჯერად მიუნხენელთა ინტერესი?

— შეიძლება, მართალია, შეიძლება, ეს ჭორი ჟურნალისტებმა ააგორეს...

გიორგი ვაშაკიძე

გახოკიძემ ორმოცდაათს გადააბიჯა

გუშინწინ „კრილია სოვეტოვმა“ 12-დღიანი გერმანული შეკრება დაასრულა და მშობლიურ სამარაში დაბრუნდა, ხვალ კი გაჯი გაჯიევის ბიჭები მოსამზადებელი ეტაპის ბოლო ამხანაგურ მატჩს გამართავენ „ამკართან“. სამარელი გულშემატკივარიც ამ მატჩში გაიცნობს გუნდის ქართველ ახალწვეულ გოგა გახოკიძეს, ვინც, მოგეხსენებათ, ორნახევარწლიანი კონტრაქტი გააფორმა „კრილიასთან“.

გაირკვა ისიც, რომ გახოკიძე რუსულ პრემიერლიგაში საკმაოდ უცნაური, 51-ნომრიანი მაისურით ითამაშებს.

შეგახსენებთ, რომ „კრილია სოვეტოვი“ ჩემპიონატს ვლადიკავკაზის „ალანიასთან“ მატჩით განაახლებს. ეს შეხვედრა კალენდრით ვლადიკავკაზში უნდა გამართულიყო, თუმც ოსები სტადიონის გაზონს ცვლიან და ურთიერთშეთანხმებით „კრილია“ — „ალანია“ სამარაში გადაინაცვლებს.

კახა ზალამბერიძე



ალექსიძე საზენიტო სროლისთვის ემზადება



შაბათს, 3 ივლისს, რუსული პრემიერლიგა განახლდება. ევროპული შეკრებიდან დაბრუნებული გუნდები მოსამზადებელ ეტაპს ასრულებენ. რატი ალექსიძის „როსტოვი“ 27 ივნისს დაბრუნდა ფინეთიდან, სადაც თორმეტდღიანი შეკრება გაიარა. რატიმ ორ მატჩში ორი გოლი გაიტანა და ახალ სეზონს იმედიანად ხვდება, თუმცა როსტოვში ერთი სამწუხარო ამბავი მაინც შეიტყო

— როსტოვში დაბრუნებულმა ბებიის გარდაცვალების ამბავი გავიგე. ბებია ჩემი ყველაზე დიდი გულშემატკივარი იყო, ჩემებმა იცოდნენ, რომ ძალიან განვიცდიდი და ეს ამბავი მხოლოდ ახლა, როსტოვში დაბრუნების შემდეგ მითხრეს.

— ფინურ შეკრებაზე რას იტყვი?

— ძალიან მომქანცველი ვარჯიშები გვქონდა, გამოკეტილები ვიყავით სასტუმროში და იქიდან მხოლოდ ვარჯიშისას გავდიოდით.

— როგორ ფორმაში ხარ?

— თავს გაცილებით უკეთ ვგრძნობ. ყველა ფეხბურთელს თითო ტაიმში უნდა ეჩვენებინა, რისი მაქნისი იყო. მე ჩემს ორ ტაიმში ორი გოლი გავიტანე და ამდენივე საგოლე პასი შევასრულე. მგონი, ურიგო შედეგი არ უნდა იყოს, გარდა ამისა, სისწრაფითაც გუნდში ერთ-ერთი პირველი ვარ.

— რამით თუ იყო გამორჩეული ფინური შეკრება?

— ფინეთში საკმაოდ გრილოდა და ეს ამსუბუქებდა ჩვენს გიჟურ ვარჯიშებს. იმასაც ვიტყოდი, რომ მას შემდეგ, რაც მთავარ მწვრთნელად ბალახნინი დაინიშნა, გუნდში ვითარება მნიშვნელოვნად გაჯანსაღდა. ბალახნინმა ყველა ფეხბურთელთან იპოვა საერთო ენა.

— შაბათს რუსეთის ჩემპიონატი განახლდება, თქვენ საკმაოდ რთული მატჩი გელით „ზენიტთან“, თან გუნდის კაპიტანი ოსინოვიც არ გეყოლებათ...

— დადებითი მომენტი ისაა, რომ ჩემპიონატს საშინაო მატჩით განვაახლებთ. ოსინოვი მართლაც დიდი დანაკლისი იქნება, მან მენისკის ოპერაცია გაიკეთა და ალბათ კიდევ თვენახევარი ვერ დაგვეხმარება. არ გვეყოლება მგუნიც, ის საკმაოდ საიმედო საყრდენია. თუმცა მთლიანობაში გუნდში იმედიანი განწყობაა და პირველ მატჩში საკუთარი გულშემატკივრების წინ, მგონი, არ შევრცხვებით. ძალიან მინდა, რომ ჩემი უგოლო სერია სწორედ „ზენიტთან“ შევწყვიტო.

— ახალწვეულები არავინ გყავთ?

— სამი ფეხბურთელი მოიყვანეს და სამივე მცველია. საკმაოდ ნორმალური შთაბეჭდილება დატოვეს.

— თბილისის „დინამოს“ მიერ თებერვალში კვიპროსული შეკრებისას დაწუნებულ ბრაზილიელ ვანდერლეიზე რას იტყვი?

— კარგი ვინმეა, ბევრი ლაპარაკი უყვარს და სულ ჩემთან ყოფნას ცდილობს. მეუბნება, აქ ჩამოსვლას „დინამოში“ თამაში მერჩივნა, მაგრამ მაშინ მაგარი კონკურენცია იყო. გარდა ამისა, ფეხბურთის თამაშიც იცის და საოცრად ჯანმაგარი ბიჭია.

— ევრო 2004-ზე რას იტყვი?

— სამწუხაროდ, ჩემი იტალია ნაადრევად გამოეთიშა ჩემპიონატს. უკეთესი ნაკრებები იყვნენ, მაგალითად, ჩეხები ძალიან მაგარ ფეხბურთს თამაშობენ და ჩემპიონობა მათთვის ალალია. საერთოდ, კიდევ ერთხელ დამტკიცდა, რომ თანამედროვე ფეხბურთში უპირატესობა შემტევ გუნდს აქვს.

დავით ერაძე

სიმღერა მეგობრობაზე. ასრულებს ვალერი ფილატოვი

ლოკოს პრეზიდენტი გაჩერებული ვაგონივით დუმს

ქუთაისში მოსკოვის „ლოკომოტივის“ პრეზიდენტის ვალერი ფილატოვის სტუმრობის თაობაზე წინა კვირას ვთქვით, თუმც მისი ვიზიტის კონკრეტული მიზანი ჩვენთვის უცნობი დარჩა.

კულუარული ინფორმაცია ასეთია: ქუთაისის „ტორპედო“ და მოსკოვის „ლოკომოტივი“ თანამშრომლობასა და საქმიანი ურთიერთობის კიდევ უფრო აწყობას, გაფართოებას აპირებენ. ითქვა „ლოკომოტივისა“ და „ტორპედოს“ გაერთიანების თაობაზეც.

გუშინ მოსკოვში თავად ვალერი ფილატოვს დავურეკეთ. მის სიტყვებში აშკარად იგრძნობოდა, „ლოკომოტივსა“ და „ტორპედოს“ შორის „რაღაც“ მართლაც რომ ხდება...

— განსაკუთრებული არაფერი, „ტორპედოს“ პრეზიდენტ ზურაბ ხინკაძესთან ვმეგობრობ და ქუთაისში მან დამპატიჟა. ქუთაისში რამდენიმე მეგობარიც მყავს, ისინი მოვინახულე და უკან წამოვედი.

— სულ ეს იყო თქვენი სტუმრობის მიზეზი?

— დიახ, ეს ჩემი მეგობრული ვიზიტი იყო.

— ვიცით, რომ „ტორპედოს“ საწვრთნელ ბაზაზე და სტადიონზეც იყავით. იქაც მეგობრები გყავთ?

— ბაზაზე „ტორპედოს“ ვარჯიშს დავესწარი. „ლოკომოტივი“ „ტორპედოს“ ორი ფეხბურთელითაა დაინტერესებული და მათ ვარჯიშს ვუცქერე.

— რომელი ფეხბურთელებით ხართ დაინტერესებული?

— გვარებს ვერ ვიხსენებ, ისინი საქართველოს ახალგაზრდულ ნაკრებში თამაშობენ.

— ჭელიძე გამეზარდაშვილი, ჩხეტიანი?

— ვერ გეტყვით, გვარები არ მახსენდება.

— „ლოკომოტივისთვის“ სასურველ ფეხბურთელებს პრეზიდენტი არჩევს?

— არა, რატომ?! ჩემთან ერთად ქუთაისში „ლოკომოტივის“ მწვრთნელიც იყო.

— სიომინიც ქუთაისში იყო?

— არა, მისი თანაშემწე მახლდა.

— როდისთვისაა მოსალოდნელი ფეხბურთელების წაყვანა?

— უახლოეს მომავალში „ტორპედოდან“ ჩვენს კლუბში ტრანსფერები არ იგეგმება.

— არც არანაირი სიახლე იგეგმება „ტორპედო“-„ლოკომოტივის“ ურთიერთობაში?

— რის თაობაზე მეკითხებით? „ლოკომოტივი“ და „ტორპედო“ უკვე კარგა ხანია მეგობრობენ.

— ლაპარაკია, „ლოკომოტივი“ და „ტორპედო“ გაერთიანებას აპირებენო. თქვენი ქუთაისური ვიზიტიც ამ საქმესთან დაკავშირებული ყოფილა.

— არა, უკვე გითხარით, ქუთაისში რატომაც ვიყავი. ხომ შეიძლება, დიდი ხნის უნახავი ქართველი მეგობრები მოვინახულო.

— ისიც ითქვა, „ტორპედო“ „ლოკომოტივის“ ფარმკლუბი უნდა გახდესო.

— მსგავსი მოლაპარაკება ჩვენს შორის არ ყოფილა. არ დაივიწყოთ.

— მაშ დავიჯეროთ, რომ „ტორპედო“ და „ლოკომოტივი“ მეგობრობენ და მეტი არაფერი?

— დიახ, ვმეგობრობთ და მეტი არაფერი.

— „ტორპედოში“ იმედი აქვთ, „ლოკომოტივსა“ და ქუთაისელებს შორის მეგობრობის გარდა საქმიანი ურთიერთობა იწყებაო, „ლოკომოტივი“ „ტორპედოში“ ინვესტიციებით მიდისო, ეგებ ფეხბურთელების გაცვლაც მოხდესო...

— ამის მთქმელისთვის სხვაც გეკითხათ... კიდევ რა იცით?

— ბევრიც არაფერი, თქვენგან გვსურდა ამ ამბების გაგება.

— მე კი გეუბნებით, რომ „ლოკომოტივს“ „ტორპედოსთან“ მეგობრული ურთიერთობა აქვს, ქუთაისში კი მეგობრების მოსანახულებლად ვიყავი.

ძოგა ინასარიძე



ტონი კაანენი ნარინჯისფერ მაისურას მხოლოდ გიორგი დემეტრაძეს აცმევს

კაანენმა ქართველი ჰოლანდიის ნაკრებში მიიწვია: დემეტრაძე ერთადერთია

დონეცკის „მეტალურგმა“ უკრაინის ჩემპიონატში მეოთხე ადგილი დაიკავა და უეფას თასის საგზური მოიპოვა. ამ შედეგით დაშორდა კლუბს ჰოლანდიელი მწვრთნელი ტონ კაანენი, რომელსაც ახალ სეზონში სერბი სლავოლუბ მუსლინი შეცვლის. მართალია, ჯერაც გაურკვეველია, დარჩება თუ არა „მეტალურგში“ გიორგი დემეტრაძე, თუმც მაინც საინტერესოა, რას ფიქრობს მასზე აწ უკვე ყოფილი დამრიგებელი. ტონ კაანენმა გუშინწინ ერთგვარი გამოსამშვიდობებელი პრესკონფერენცია გამართა:

— იცით, ჩემი საყვარელი სქემა 3-5-2-ია. ამ სისტემას უკრაინაში ბევრი იყენებს და კონტრთამაშის ერთადერთი საშუალება ფლანგზე აგრესიული თამაშია. ასეთ დროს გუნდს ტექნიკური ფეხბურთელები სჭირდება მოედნის ცენტრში. მე კი მყავდა უაღრესად ტექნიკური, მუშაც და გოლის გამტანი ფეხბურთელებიც.

ძნელი მისახვედრი არაა, რომ კაანენი ტექნიკურ და გამტან ფეხბურთელებში გოჩა ჯამარაულს და უკრაინის ჩემპიონატის ბომბარდირ გიორგი დემეტრაძეს გულისხმობდა, თუმც „დემეზე“ სხვა ეპითეტებიც არ დაიშურა:

— რომ მკითხონ, უკრაინის ჩემპიონატში მოთამაშეთაგან ვინ ითამაშებდა ჰოლანდიის ნაკრებში, დაუფიქრებლად ვუპასუხებ: გიორგი დემეტრაძე. ის ერთადერთია, ვისაც ამ დონეზე თამაში შეუძლია, თუმც ანატოლი ტიმოშჩუკსა და ვალენტინ ბელკევიჩზეც კარგი შთაბეჭდილება დამრჩა.

ახლა კაანენი ისვენებს და მემუარებს წერს — „დონეცკური პერიოდი“ — ასე ჰქვია ჰოლანდიელი მწვრთნელის წიგნს.

ძახა შალამბერიძე

მუჯირი ჩემპიონთა ლიგას მიუახლოვდა

ესპანეთის „სეპანანი“ ირანის თასის ფინალში გავიდა — ჯაბა მუჯირის გუნდმა ნახევარფინალში თანაქალაქელ „ზობ-აჰანს“ მოუგო. შეხვედრის ძირითადი დრო 1:1 დამთავრდა, დამატებითში გოლი არ გასულა და პენალტების სერიაში „სეპაჰანმა“ 6:5 იმარჯვა. მუჯირს ოერთმეტმეტრიანი არ დაურტყამს, 120 წუთი კი სრულად ითამაშა.

„სეპაჰანის“ მეტოქე ფინალში თეირანის „ესტგლალია“, რომელიც ირანის ჩემპიონატში მეორე ადგილზე გავიდა. ფინალი ორ მატჩად გაიმართება — გუნდები ერთმანეთს ესტუმრებიან — შეხვედრები 1 და 5 ივლისს შედგება.

თასი იმითაცაა მნიშვნელოვანი, რომ მისი ამწევი გუნდი აზიის ჩემპიონთა ლიგის საგზურსაც მოიპოვებს.

დავით თავართქილაძე

მიშა, ჩამოდი

ჯურბისი ევრო 2004-ს გაებუტა

ვლადიკავკაზის „ალანიამ“ ფრანგული შეკრება დაასრულა და ახლა 3 ივლისისთვის ანუ რუსეთის პირველობის განახლებისთვის ემზადება საკუთარ ბაზაზე.

სამწუხაროდ, ერთ-ერთ ვარჯიშზე ფეხი ისევ დაიზიანა ვიტალი დარასელიამ და სავარაუდოდ პირველ მატჩებს გამოტოვებს. სამაგიეროდ, საბოლოოდ გამოჯანმრთელდა ლევან გვაზავა და იგი სრული დატვირთვით ვარჯიშობს:

— ერთი კვირაა, გუნდთან ერთად სრულად ვიტვირთები. ფეხი აღარ მაწუხებს და შიშიც მომეხსნა.

— ფრანგული შეკრება როგორი იყო?

— ძალიან კარგი. მართალია, სპარინგმატჩები არ გვითამაშია, მაგრამ ნაყოფიერად ვმუშაობდით. სამჯერადი ვარჯიშით თითქოს ქანცგაცლილები უნდა ყოფილიყავით, მაგრამ იმდენად კარგად იყო ყველაფერი შედგენილი, რომ დაღლილობა არც გვიგრძვნია.

— რუსეთის პრემიერლიგის განახლებას ძირითადში შეხვდები?

— ეს მწვრთნელის გადასაწყვეტია. ალბათ თავდაპირველად მაინც შეცვლებზე მათამაშებს. მითხრა კიდეც — ძირითადში ნელნელა უნდა დაგაბრუნოო.

— დარასელიას ტრავმის გართულებამ ალბათ მისი გეგმებიც არია...

— როგორც იქნა, ვიტალი ფორმაში შევიდა და... თუმცა, უთხრეს, სერიოზული არაფერიაო და ალბათ პირველი ორი ტურის შემდეგ ისევ მთელი დატვირთვით დაიწყებს ვარჯიშს.

— ყაველაშვილის შეძენის ამბავი გეცოდინება...

— მიშას შეძენა ძალიან უნდოდათ — მან ჩვენთან საჩემპიონო სეზონი ჩაატარა და ასეთივე თამაშს აჩვენებდაო. ყაველაშვილი ახლა შვეიცარიაშია და მალე შემოგვიერთდება.

— როლან კურბისი ევრო 2004-ზე თანამემამულეების სუსტი თამაშით იმედგაცრუებულია?

— საერთოდ, ამ ევროპის ჩემპიონატმა კიდევ ერთხელ აჩვენა, რომ ის გუნდები, რომელთა წამყვან მოთამაშეებზე სეზონში 70-90 უაღრესად პრინციპული მატჩი მოდის, მათთვის ჩვეულ თამაშს ვეღარ აჩვენებენ. ცუდია, როდესაც ვარსკვლავთა თამაში ხუნდება. კურბისმა კი ერთი ეს თქვა, ევრო 2004-ს აღარ ვუყურებ არა იმიტომ, რომ საფრანგეთი გავარდა, არამედ საყურებელი აღარავინ დარჩაო...

დავით ერაძე

ჯერ უკრაინა, მერე ბათუმი

ამ ცოტა ხნის წინ ალეკო გოგობერიშვილის „ბათუმში“ გადასვლა თითქმის გადაწყვეტილი ჩანდა, თუმც ეს საქმე ჯერაც არ გამოსულა და ისეთი პირი უჩანს, ეტყობა ჩაიშლება კიდეც: „ბათუმში“ წასვლაზე უარი თავად ვთქვი, ვინაიდან უკეთესი ვარიანტი გამოჩნდა. ალბათ კარიერას უცხოეთში გავაგრძელებ. ყველაფერი ორ-სამ დღეში გაირკვევა“ — ეს სიტყვები გოგობერიშვილმა პარასკევს გვითხრა. გუშინ მას კვლავ შევეხმიანეთ იმ იმედით, რომ მის მსურველ კლუბს მაინც შევიტყობდით.

— კლუბს ჯერ ვერ გაგიმხელთ, თუნდაც იმიტომ, რომ საქმე არ გადაწყვეტილა. ერთის თქმა შემიძლია, ჩემი შეძენა ერთ-ერთ საკმაოდ ნორმალურ უკრაინულ კლუბს სურს, რომელმაც პირობებიც ნორმალური შემომთავაზა.

— ესე იგი, „ბათუმს“ ამიტომ უთხარი უარი...

— „ბათუმისთვის“ საბოლოოდ უარი არ მითქვამს. მათ იციან, რომ თუ უკრაინული ვარიანტი ჩაიშლება, მაშინ სათამაშოდ მათთან მივალ. თუმცა უკრაინელებმა უკვე ორჯერ დამირეკეს.

— ფეხი გტკიოდა და არ ვარჯიშობდი...

— კი ვიმკურნალე, მაგრამ აქილევსის მყესმა ისევ შემახსენა თავი. ახლა მხოლოდ მსუბუქად ვვარჯიშობ. მეუბნებიან, რომ მალე სრულად დატვირთვასაც შევძლებ.

დავით ერაძე

რკინიგზა აბრეშუმისა ხდება

ლოკომოტივი პატრონს და ლეგიონერებს ელის



თბილისის „ლოკომოტივს“ ალბათ მალე დაადგება საშველი. საქართველოს ქონების მართვის სააგენტო რკინიგზული კლუბის გაყიდვაზე ფიქრობს — ტენდერი უკვე გამოცხადებულია და „ლოკომოტივის“ შეძენის ყველაზე რეალურ პრეტენდენტად კომპანია „აბრეშუმის გზა“ ითვლება.

ამის შესახებ გუშინ „ლოკომოტივის“ დირექტორმა *ლევან ყიფიანმა* გვითხრა, რომელსაც სხვაც ვკითხეთ...

— „აბრეშუმის გზას“ „ლოკომოტივის“ აქციების სრულად შესყიდვა სურს?

— ასევე პროცენტით ალბათ არა, გარკვეული წილი რკინიგზასაც დარჩება.

— ეს დიდი ხნის ამბავია?

— კონკურსი უკვე გამოცხადებულია და ალბათ მალე ყველაფერი გაირკვევა.

— „აბრეშუმის გზის“ გარდა, კიდევ რომელი კომპანიები არიან დაინტერესებული „ლოკომოტივის“ შეძენით?

— არის რამდენიმე ფირმა, თუმც სადღეისოდ „აბრეშუმის გზა“ ყველაზე რეალური ჩანს.

ყოფინანისვე თქმით, „ლოკომოტივი“ ივლისის დასაწყისში უზბეკეთში წავა შეკრებაზე იმის მიუხედავად, ეყოლება თუ არა კლუბს ახალი პატრონი.

ცნობილია ისიც, რომ „ლოკომოტივში“ რამდენიმე ახალწვეული ისინჯება, თუმც მათი რიცხვი კიდევ გაიზრდება — თბილისელები მეზობელი ქვეყნებიდან რამდენიმე ლეგიონერსაც ელიან.

ძახა შალამბერიძე

3-2+1 ქართულ-ზანგური არითმეტიკა

სტეფანია მეორე მაიამელს ელაპარაკება

კალათბურთის ფედერაცია რომ ნაკრებისთვის გამთამაშებელს ნბა-ში ეძებს, ძველი ამბავია. ახალი კი ისაა, რომ სამი აქამდელი კანდიდატიდან ორი გამოირიცხა და დარჩენილ შემონდ უილიამსს დაემატა „მაიამი ჰითის“ გამთამაშებელი, რომლის ვინაობასაც ფედერაცია ჯერ არ ახმაურებს. სხვათა შორის, მაიამელი გახლდათ აწ უკვე ყოფილი კანდიდატი ედი ჰაუსი, თუმც ვლადიმერ სტეფანიამ ის ვერ დაიყოლია და ყოფილი გუნდელებიდან კიდევ ერთ მოთამაშესთან წამოიწყო მოლაპარაკება. ეს ამბავი თავად ფედერაციის პრეზიდენტ ბესიკ ლიპარტელიანისგან შევიტყვეთ...

ნიკა ცქიტიშვილს ბესიკ ლიპარტელიანი იტალიურ შეკრებაზე ელის

— ნაკრების სამი კანდიდატიდან — მაიკ ჯეიმსი, ედი ჰაუსი და შემონდ უილიამსი — ეს უკანასკნელი შევარჩიეთ. თუმც საბოლოო გადაწყვეტილება ჯერ არ მიგვიღია, რადგან გუშინ ველაპარაკე ვლადიმერ სტეფანიას, რომელმაც კიდევ ერთ კარგ გამთამაშებელს შესთავაზა საქართველოს ნაკრებში თამაში.

— ხომ ვერ გვეტყვით, ვინაა ახალი კანდიდატი?

— ვინაობის გამხელა ჯერ არ მინდა, ისე კი, გეტყვით, რომ ისიც მაიამელია. ეტყობა, სტეფანიას ახლო ურთიერთობები აქვს ყოფილ გუნდელებთან, ეს უკვე მეორე მაიამელი კანდიდატია, ედი ჰაუსსაც ხომ ვოვა ელაპარაკებოდა.

— რა ეტაპზეა მოლაპარაკება ახალ კანდიდატთან?

— სტეფანია მას ხელმეორედ დღეს-ხვალ ნახავს და ამის მერე ახალი კანდიდატის პოზიციაც გვეცოდინება.

— ვთქვათ, თანახმაა, მას აირჩევთ საბოლოოდ თუ ნიუორლეანელ შემონდ უილიამსს?

— ჯერ მაიამელის პასუხს ველოდებით და თუ დაგვთანხმდა, მერე ვიფიქრებთ, ის ავირჩიოთ თუ უილიამსი. არჩევანს ჯერ მაინც ვერ გავაკეთებთ, სანამ უშუალოდ არ შევხვდებით კანდიდატს. თუ მაიამელიც დაგვთანხმდა მოლაპარაკების გაგრძელებაზე, უილიამსთან ერთად ისიც ჩამოვა ივლისში იტალიაში, საქართველოს ნაკრების შეკრებაზე.

— უილიამსის იტალიაში ჩამოსვლა გადაწყვეტილია?

— ამ ეტაპზე ყველაფერი ისეა, რომ ივლისში უილიამსს იტალიაში შევხვდები. თუ რამე გაუთვალისწინებელი არ მოხდა, სტეფანია და უილიამსი ერთად ჩამოვლენ იტალიაში და მათ შესაძლოა, ნაკრების მაიამელი კანდიდატიც ჩამოჰყვეთ.

— ნაკრების ნბა-ელი წევრებიც თუ ჩამოვლენ იტალიაში? „დენვერი“ 13-დან 24 ივლისამდე საზაფხულო ლიგაში იქნება ჩაბმული და მისი მწვრთნელი ჯეფ ბზდელიკი ამბობს, ცქიტიშვილი ყველაზე მეტად უნდა დავტვირთოთო. იგივე სიტუაციაშია „მილუოკიში“ ახალგადასული ზაზა ფაჩულიაც...

— „დენვერის“ გეგმებზე მეც შევიტყვე, მაგრამ ნიკასთან ჯერ არ მილაპარაკია. ის დაგვპირდა, რომ იტალიაში ჩამოვიდოდა, ხვალ დავურეკავთ და ყველაფერს გავარკვევთ... ფაჩულიასთანაც მოგვიწევს დარეკვა, მან გუნდი გამოიცვალა და გეგმებიც თავისთავად შეეცვალა. პრესიდან შევიტყვე, რომ ზაზა ძალიან მოსწონს „მილუოკის“ ხელმძღვანელობას და საზაფხულო ლიგაზეც უპირებს გამოცდას. ამ დღეებში ზაზასაც დაველაპარაკები და ყველაფერს შევათანხმებთ. რაც მთავარია, მას ძალიან უნდა იტალიაში ჩამოსვლა და ნაკრებში თამაში.

ირაკლი პერტაია

გიორგი ნიკოლაძე



შიო ხეცურიანი

დინამო სტუ შეიმატა

ბაბიაშვილი, ნიკოლაძე, ხეცურიანი... ბერძენიშვილი

დავით ბერძენიშვილი



ზვიად ბაბიაშვილი

ქართულ კლუბებს ჯერ ტრანსფერებისთვის არ სცხელათ, უმეტესობა საარსებო სახსრის ძიებაშია, მაგრამ ეს პრობლემა არ აწუხებს თბილისის „დინამოს“ და პირველი სერიოზული შევსებაც დრაჟენ ბრაიკოვიჩის გუნდმა მიიღო

კონტრაქტები ჯერ არ გაფორმებულა, მაგრამ გუშინწინ გადაწყდა, რომ „დინამოში“ 4 ახალწვეული მივა. ბრაიკოვიჩის გუნდს მომავალ სეზონში უკვე ნაღდად აღარ ექნება მეფარეთა პრობლემა — „დინამოს“ მაისურა მოირგო ეროვნული ჩემპიონატის ყველაზე გამორჩეულმა ცენტრმა, „ბასკოს“ ფარქვეშა ბურჯმა დავით ბერძენიშვილმა. დინამოელი გახდა აქამდე სტუ-ში მოთამაშე ზვიად ბაბიაშვილიც, რომელიც ჩვენი ჩემპიონატის ერთ-ერთი საუკეთესო თავდამსხმელია და 29 მაისს გამართული ქართული „ოლ სტარის“ საუკეთესო მოთამაშე გახდა.

„კონტრაქტი ჯერ არ გაგვიფორმებია, მაგრამ უკვე გადაწყვეტილია, რომ „დინამოში“ ვითამაშებ — ამბობს ბაბიაშვილი — ხელმძღვანელობასთან ყველაფერი შეთანხმებული მაქვს და ოფიციალურად გუნდში 1 აგვისტოს შემდეგ ჩავირიცხები, როცა „დინამო“ შეიკრიბება.“

ბრაიკოვიჩმა უკანა ხაზზეც იზრუნა და ეს რგოლი, რომელიც ისედაც უძლიერესი იყო საქართველოში, კიდევ უფრო საიმედო გახდა. „დინამოში“ გადავიდნენ „სტუ-ჯეოსელის“ უკანახაზელები — შურდულივით სწრაფი გამთამაშებელი ირაკლი ნიკოლაძე და ჩემპიონატის ერთ-ერთი უძლიერესი დამცველი შიო ხეცურიანი.

„ძალიან კმაყოფილი ვარ, რომ „დინამოში“ ვითამაშებ. თანაც ამ გუნდში ჩემი თანაგუნდელი შიო ხეცურიანიც გადმოვიდა. კონტრაქტები ჯერ არ გაგვიფორმებია, მაგრამ ეს ფორმალობაა, ყველაფერი შეთანხმებულია.“ — გვითხრა გიორგი ნიკოლაძემ.

თუ ვიღაც მოდის, ვიღაც უნდა წავიდეს. „დინამო“ არაერთი მოთამაშის გაშვებას აპირებს და დღეს ამ ამბავსაც დაესმება წერტილი. ბრაიკოვიჩის გუნდის ხელმძღვანელობა დიღმის ბაზაზე შეიკრიბება და იმ მოთამაშეთა ვინაობას დაასახელებს, რომლებმაც ახალი გუნდები უნდა ეძებონ.

ირაკლი პერტაია

50 მეტრზე ბრასით ცურვაში მეორე პრიზიორი ეკა კაჭახიძე, გამარჯვებული ანა სალნიკოვა და მესამე პრიზიორი ნატალია ნეხაი

ფოტო ალექსანდრე ბეგიაშვილის

საწყალია ხალხი, ვინც წყალში არ ჩადის

ვინც ჩადის, იმათ მაინც მივხედოთ

მიზეზთა გამო საქალაქო შეჯიბრებებს იშვიათი გამონაკლისის გარდა დიდად არ ვწყალობთ. ასეთი შეჯიბრებებით მაინცდამაინც განებივრებულებიც არც ვართ, მაგრამ ამ დღეებში „ლაგუნა ვერეს" აუზში გამართულ თბილისის მოცურავეთა ღია ჩემპიონატს საქართველოში ამ საქმის პატრიარქის ლუკა იოაკიმიდის პრიზზე, მაინც ვეწვიეთ.

უწინარეს ყოვლისა, ამ შეჯიბრებამ, რომელზეც თბილისის ოლიმპიური მომზადების ცენტრის, „ლაგუნა-ვერესა" და რუსთავის აღსაზრდელები გამოდიოდნენ, ზურაბ ხომასურიძის გამო დაგვაინტერესა.

ხომასურიძე ათენის ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობის ერთ-ერთი კანდიდატია. უფრო სწორად, იგი საბერძნეთის დედაქალაქში ეგრეთ წოდებული ველური თუ მწვანე ბარათით დაუშვეს, მაგრამ თავად ამის შესახებ ჯერ არც იცის.

და მაინც, ზურაბ ხომასურიძე ამ შეჯიბრების დამთავრებისთანავე გაემგზავრა იტალიაში ამ ქვეყნის ღია ჩემპიონატში მონაწილეობისთვის და იქ თავად შეეცდება ლიცენზიის მოპოვებას, მანამდე კი თბილისის ჩემპიონატში იასპარეზა. და როგორც მოსალოდნელი იყო, გაიმარჯვა 50, 100, 200 მეტრზე ბატერფლაით (შესაბამისად — 26,0, 57,8, 2.09,1), აგრეთვე 200 მეტრზე თავისუფალი სტილით გაცურვებში (1.57,3). დიდი ჯაფა არც დასდგომია, რადგან სერიოზული წინააღმდეგობა ვერავინ გაუწია. მისი შედეგები სპორტის ოსტატის კანდიდატის შესაფერისი იყო და საბოლოო ჯამში ხომასურიძე ვაჟთაგან საუკეთესო აღმოჩნდა.

გოგონათა შორის ჯამში საუკეთესო აღმოჩნდა თბილისელი სოფო თევდორაძე, რომელმაც გაიმარჯვა თავისუფალი სტილით 100 და 200 (შესაბამისად — 29,6, 1.05,8), აგრეთვე 100 მეტრზე გულაღმა ცურვაში (1.13,0). მისი შედეგები მხოლოდ პირველი თანრიგის შესატყვისია.

ამ შეჯიბრებაში სპორტის ოსტატობის კანდიდატის ნორმატივი პირველად შეასრულა კირილ შირიაევმა (რუსთავი). მან ამ წარმატებას 100 მეტრზე გულაღმა ცურვაში (1.03,5) მიაღწია.

სპეციალისტებზე განსაკუთრებით კარგი შთაბეჭდილება დატოვა თბილისელმა ირაკლი რევიშვილმა, რომელიც შეჯიბრების ერთ-ერთი ყველაზე ახალგაზრდა გამარჯვებული აღმოჩნდა. იგი უძლიერესი იყო 400 და 1500 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში, სადაც ოსტატობის კანდიდატის შედეგებით იმარჯვა (4.17,0 და 16.52,9).

რევიშვილმა ყველას თბილისელი საბჭოთა კავშირის რეკორდსმენი იგორ ლისეცკი მოაგონა. გაიგონებდით, ირაკლიც მასავით თავდაუზოგავად ვარჯიშობს და ფრიად პერსპექტიული მოცურავე ჩანსო.

სხვა შედეგებიდან აღსანიშნავია 100 მეტრზე ბრასით ცურვაში თბილისელ ვანო ქათამაძის გამარჯვება (1.08,0). გოგონებიდან ამავე სახეობაში უძლიერესი იყო ასევე თბილისელი ანა სალნიკოვა (1.23,2), მანვე გაიმარჯვა ამავე სტილით 50 და 200 მეტრიან დისტანციებზე (38,1, 2.59,5). მას სამივე დისტანციაზე მეტნაკლებად მწვავე მეტოქეობა გაუწია თანაგუნდელმა ეკა კაჭახიძემ, რომელმაც 100 მეტრზე პირველად შეასრულა პირველი თანრიგის ნორმატივი (1.24,5).

თუ გავითვალისწინებთ, რომ კაჭახიძე და მესამე პრიზიორი ნეხაიც გამარჯვებულს ასაკით ჩამორჩებიან, ნათელი გახდება, რომ მათ ოსტატის შედეგის ჩვენებაც ძალუძთ და იქნებ მეტსაც მიაღწიონ, თუ ზამთარ-ზაფხულ ვარჯიშის ნორმალური პირობები და სათანადო ხელშეწყობა ექნებათ.

როცა ამ სათანრიგო ნორმატივებზე ვსაუბრობთ, ისიც უნდა ვთქვათ, რომ ისინი საორიენტაციოდ რუსეთის მოცურავეთა სათანრიგო ნორმატივებიდანაა აღებული და ჩვენებისთვის ოდნავ გაიოლებულია.

თუ გავითვალისწინებთ, რომ თავად რუსები ბევრად ჩამორჩებიან ამერიკელთა და ავსტრალიელთა მიერ „დაკანონებულ" მსოფლიოს სტანდარტებს, მაშინ მდგომარეობა უფრო სავალალოდ წარმოგვიდგება. ჩვენი მოცურავეების დღევანდელ დონეზე უკეთეს სურათს ვერც საქართველოს ჩემპიონატი მოგვცემდა, რადგან ამ სახეობაში თბილისის პირველობა, პრაქტიკულად, ყველა უძლიერესს უყრის თავს. თუმცა, ბოლო დროს საქართველოში ცურვის განვითარებისადმი სახელმწიფოს უმაღლეს ხელმძღვანელთაგან გარკვეული დაინტერესება ივრძნობა, რაც ალბათ მომავალში შედეგებზეც აისახება. ამ მზრუნველობის გამოხატულება ალბათ ისიც იყო, რომ თბილისის ჩემპიონატის პრიზიორებისთვის საკმაოდ მნიშვნელოვანი პრიზები იყო დაწესებული, რამაც გამარჯვებულნი ფრიად გაახალისა.

ავთანდილ ბუკვიშელი

ზურაბ ხომასურიძე და სოფო თევდორაძე

ფოტო ალექსანდრე ბეგიაშვილის

საერთო ჯამში ვაჟთა და გოგონათა შორის საუკეთესონი: ზურაბ ხომასურიძე და სოფო თევდორაძე

ათენამდე მედლების მორჩა

წინ საპურორტო სეზონია

ოლიმპიურ თამაშებზე საქართველოს უმთავრესმა იმედმა ელდარ კურტანიძემ გუშინ ბოლო საშეჯიბრო რეპეტიცია გაიარა და ჩემპიონობა ერთხელაც მოასწრო. დაღესტნურ ხასავიურტში ჩატარებულ შამილ უმახანოვის სახელობის ტრადიციულ საერთაშორისო ტურნირზე ჩასული საქართველოს ნაკრებიდან იგი ერთადერთი იყო, ოქროს რომ უწია.

მწვრთნელებმა გია გალდავამ და მარლენ ოსიყმაშვილმა ოლიმპიადამდელ ბოლო შეჯიბრში ნაწილობრივ გადახალისებული ნაკრები იახლეს. ლიცენზიანთა ექვსეულს მხოლოდ დავით პოღოსიანი (60კგ) და ოთარ თუშიშვილი (66კგ) აკლდნენ. მათი ადგილი დავით ახალმოსულიშვილმა და შალვა მუზიაშვილმა დაიკავეს. დანარჩენთაგან კი ყველაზე უკეთ რევაზ მინდორაშვილმა (84კგ) იასპარეზა. ელდარის მსგავსად, მანაც ფინალს უწია, მაგრამ გადამწყვეტი ბრძოლის მოგება ვეღარ შეძლო. მეოთხე ადგილს დასჯერდა მძიმეწონოსანი ლექსო მოდებაძე, ხოლო გელა საღირაშვილი (74კგ), ისევე როგორც ახალმოსულიშვილი, მუზიაშვილი და ბესიკ გუჩაშვილი (55კგ), ტურნირს შედარებით ადრე გამოეთიშა.

დაღესტნურ ტურნირზე ინფორმაცია ჭიდაობის ფედერაციის გენერალურმა მდივანმა ომზარ შოშიტაიშვილმა და თბილისში დარჩენილმა ნაკრების თავკაცმა ზაზა თურმანიძემ მოგვაწოდეს. დეტალები ჯერ მათთვისაც უცნობი იყო, მედლების ამბავი თაკადაც ტელეფონით გაეგოთ გია გალდავასგან.

ნაკრები თბილისში დღეს ჩამოვა და უკვე ხვალიდან ოლიმპიადისწინა დასკვნით შეკრებებს დაიწყებს. პირველი ბაკურიანული 16-დღიანი იქნება, რომელიც ძირითადად საერთო ფიზიკურ მომზადებას დაეთმობა. მერე კი ზედიზედ ორი ბორჯომული ორკვირეულია დაგეგმილი.

ბოლოს ერთსაც დავამატებთ. ოლიმპიურ თამაშებში ქართველი სპორტსმნებიდან ყველაზე ბოლოს მოჭიდაველები ერთვებიან. ჭიდაობის ფედერაციამ გადაწყვიტა, მისი სამწყსო ოლიმპიურ დელეგაციას არ გაჰყვეს და თამაშების გახსნიდან მათ ასპარეზობამდე დარჩენილი დღეებიც საქართველოში სავარჯიშოდ გამოიყენოს.

ოთარ მაღლაკელიძე



ელდარ კურტანიძემ და რევაზ მინდორაშვილმა ათენამდე ერთიც გაისროლეს

მსოფლიოს ჩემპიონატი

ლიბია, ტრიპოლი 18 ივნისი — 13 ივლისი

IV ტური

რაჯაბოვმა სმირნოვი შეირგო

რვიდან ოთხ მატჩში გამარჯვებულის გამოსარკვევად ტაი-ბრეიკები გახდა საჭირო და ოთხივეში რუსებს მოუწიათ თამაშმა. მომდევნო ეტაპზე მხოლოდ ორმა გააღწია — ალექსანდრ გრიშჩუკმა და ანდრეი ხარლოვმა. აი, გავარდნილებიც: პაველ სმირნოვი ბაქოელ ვუნდერკინდ თეიმურაზ რაჯაბოვთან დამარცხდა 2,5:3,5, ხოლო ალექსანდრ დრეევი კუბელ ლენიერ დომინგესთან — 1,5:2,5.

იმარჯვა თითქმის ყველა ფავორიტმა. ბულგარელმა ვესელინ ტოპალოვმა ხორვატ ზდენკო კუზელს სძლია 2:0 და მეოთხედფინალში ხარლოვს დაუპირისპირდა.

ჩემპიონატის აღმოჩენას, გაამერიკელებულ იაპონელ ჰიკარუ ნაკამურას ინგლისელ მაიკლ ადამსთან მეორე მატჩში საკმაოდ მძიმე ბრძოლა ელოდა. პირველი თეთრი ფიგურებით წაეგო და აუცილებლად მოგება სჭირდებოდა, მინიმუმ ტაიბრეიკებამდე რომ მიეღწია. ნაკამურამ ადამსის წინააღმდეგ დებიუტში ალიოხინის დაცვას მიმართა და ფიგურების გაშლას შეუდგა, მაგრამ გამოცდილი ინგლისელი მალევე მიუხვდა ჩანაფიქრს, მის დასაბნევად გაცვლებს მიმართა და 21-ე სვლაზე სასურველ ყაიმს გამორჩა.

ლაშა გეგეჭკორი

უიმბლდონი 2004

ლონდონი. ბალახი. საპრიზო 9 707 280 გირვანქა სტერლინგი

მომავლის სერენადა

მე რომ დიდი გოგო გავიზრდები...



REUTERS ლონდონიდან

სხვებიც ლაპარაკობენ და ფედერერი თავადაც ამბობს, ძალიან ფორმაში ვარო

მესამე ნრე

კაცები

როჯერ ფედერერი (1, შვეიცარია) — **ტომას იოჰანსონი** (შვედეთი) 6:3, 6:4, 6:3; **ენდი როდიკი** (2, აშშ) — **ტაილორ დენტი** (26, აშშ) 6:3, 7:6 (8:6), 7:6 (7:1); **ტიმ ჰენმანი** (5, ბრიტანეთი) — **ჰიშამ არაზი** (32, მაროკო) 7:6 (8:6), 6:4, 7:6 (7:1); **ვინს სპადია** (30, აშშ) — **რაინერ შუტლერი** (8, გერმანია) 6:4, 6:2, 6:3; **მარკ ფილიპუსისი** (11, ავსტრალია) — **ფერნანდო გონსალესი** (24, ჩილე) 6:4, 6:1, 6:7 (4:7), 7:5; **სხენგ შალკენი** (12, ჰოლანდია) — **ტომას ენკვისტი** (შვედეთი) 5:7, 6:2, 3:6, 7:6 (10:8), 6:2; **იოახიმ იოჰანსონი** (შვედეთი) — **იონას ბიორკმანი** (17, შვედეთი) 6:7 (5:7), 7:6 (7:5), 7:6 (8:6), 6:3; **ივო კარლოვიჩი** (ხორვატია) — **ფელისიანო ლოპესი** (18, ესპანეთი) 7:6 (14:12), 7:6 (7:3), 6:7 (2:7), 7:5; **მარიო ანჩიჩი** (ხორვატია) — **დომინიკ ჰრბატი** (25, სლოვაკეთი) 7:5, 6:3, 7:5; **ფლორიან მაიერი** (გერმანია) — **უეინ ფერეირა** (სამხრეთ აფრიკა) 4:6, 6:4, 6:1, 6:4; **ალექსანდრ პოპი** (გერმანია) — **კენეტ კარლსენი** (დანია) 7:5, 6:4, 6:4

ქალები

სერენა უილიამსი (1, აშშ) — **მაგი სერნა** (ესპანეთი) 6:4, 6:0; **ამელი მორესმო** (4, საფრანგეთი) — **ლუდმილა ჩერვანოვა** (სლოვაკეთი) 6:1, 6:4; **ჯენიფერ კაპრიატი** (7, აშშ) — **ნატალი დეში** (25, საფრანგეთი) 7:5, 6:1; **პაოლა სუარესი** (9, არგენტინა) — **ანე კრემერი** (ლუქსემბურგი) 6:1, 4:6, 6:0; **ნადია პეტროვა** (10, რუსეთი) — **ტატიანა პერებინისი** (უკრაინა) 7:6 (7:5), 6:2; **მაგდალენა მალეევა** (21, ბულგარეთი) — **დენიზა ჰლადკოვა** (ჩეხეთი) 7:5, 6:3; **კეროლინა სარეზი** (ხორვატია) — **მეგან შონესი** (32, აშშ) 7:6 (7:5), 7:6 (7:2); **რიტა გრანდე** (იტალია) — **ვირჟინი რაზანო** (საფრანგეთი) 6:4, 4:6, 6:3

თუკი მერეე ნომრად განთესილი რაინერ შუტლერის გავარდნას არ ჩავთვლით, წვიმიანობის გამო „დასაქმებულმა“ სატურნირო შუაკვირამ მოულოდნელობების გარეშე განვლო. თუმცა — თუნდ ჩვენს შორისაც ნუ დარჩება და — წლეულს ძალზედ მოვაინაჩრე შუტლერის გავარდნა მაინცდამაინც დიდ სენსაციადაც არ უნდა აღვიქვათ.

ამქრის ზეგარდმო პირველოსანმა როჯერ ფედერერმა კვლავ უებროდ იჩოგნავა და სეტისწაუგებლად ამ ჯერზე ავსტრალიის 2002 წლის ჩემპიონ ტომას იოჰანსონს ჩაურბინა. ისინი ერთმანეთს აქამდე ხუთჯერ შეხვედროდნენ და ხუთჯერვე შვეიცარიელს ემარჯვა.

განსაკუთრებული პრობლემები ფედერერს არც ამ შეხლისას შეჰქმნია. იმთავითვე წამხდარი მეტოქე, რომლის გამხნევებასაც ამაოდ ცდილობდა პუბლიკა, მან საბრეიკპოინტზე ერთხელაც არ გაიკარა და გაუსაჩივრებლად ჰგვემა.

ეს ფედერერის ზედიზედ მეოცე საბალახსაფრო მოგება იყო და ისიც ნამატჩევს ძალზედ კმაყოფილობდა — წლეულს შარშანდელზე უკეთ ვგრძნობ თავს, რაკიღა ახლა უკვე ვიცი, აქ ტიტულის მოგება როგორ უნდაო.

მის საზეო ფორმაში ეჭვი არც სხვებს ეპარებათ. ამათ რიგშია უიმბლდონის ოდინდელი ჩემპიონი პატ კეში, ვინაც თვლის, რომ ფედერერი სადღეისოდ ყველაზე სრულყოფილი მოთამაშეა. „ერთადერთი, რაშიც ის ოდნავ მოისუსტებს, მოჭრილი ხელუკულმა დარტყმაა, სხვაფრივ კი მას არაფერი დაეწუნება.“

ფედერერის სრულყოფილებას მომდევნო წრეში აყლაყუდა ხორვატი, პირველი წრიდან პარადორონ შრიჩაფანის მაოტარი ივო კარლოვიჩი გამოსცდის. ამ კარლოვიჩმა, ვინაც კორტის დონიდან 208 სანტიმეტრს აითვლის და ჩვენი კლავიატურის არეში შარშანდელი უიმბლდონობის პირველ წრეში ლეიტონ ჰიუიტის ძლევის შემდეგ მოექცა, იმ დღეს უდაბულეს ბრძოლაში ავჯობა ესპანელ ფელისიანო ლოპესს.

მძაფრი ჭექა-ქუხილი შედგა ამქრის ორ უყუმბარეს მეჩოგნეს — ენდი როდიკსა და ტაილორ დენტს შორის. თუმცა როდიკის უპირატესობა მაინც აშკარა იყო და ეს უწინარესად ეისთა თანაფარდობით გამოიხატა — დენტის ექვსი გამჭოლი მოწოდების წილ მან მეტოქის წილი კორტი თექვსმეტი ეისით გაშოლტა. ნამატჩევს როდიკი აშკარად ნაამები ჩანდა და განსაკუთრებით ის ეამაყებოდა, რომ გლავკუნა თვისტომის წინააღმდეგ სწორედ მაშინ უმატა, როცა ეს ყველაზე საჭირო იყო. მეოთხედფინალში გასაღწევად კი ის ჩოგანს გერმანელ ალექსანდრ პოპთან გადააჯვარედინებს.

სხვაფრივ:

განსაკუთრებული პრობლემების გარეშე გაივაკეს იმ დღეს მოსარჯე ქალმა ფავორიტებმაც.

სერენა უილიამსმა მძლავრად ბერტყა მასზე გავაზორება ცაცია ესპანელ მაგი სერნას და მერე თქვა, რომ წრიდან წრემდე უკეთ თამაშობს. რაც შეეხება იმას, თუ რას გააკეთებს სერენა ოცი წლის შემდეგ, ანუ ძაშინ, როცა ჯერაც არ იქნება შარტინ ნავრატილოვას ოდენრად 47 წლისა, მან ასე მიუგო: „იმედია, საიმდროოდ ჩემი კომპანია „ანერეს-ი“ (სერენას პალინდრომი) უკვე სახელგანთქმული იქნება. ჰო, თუკი გამიმართლა, კარგი სამკერვალო კომპანიის მფლობელი ვიქნები და კორტზე უკვე ორი პატარა სერენაც იბუღლავებს. იმედია, საიმდროოდ ჩემს კვალს კინოსაც დავატყობ. არ ვიცი რამდენ ფილმში გადამიღებენ, მაგრამ ეს ნაღდად კომედიები უნდა იყოს.“

მანამდე კი სერენა თავის ზედიზედ მესამე უიმბლდონურ ტიტულს დაეძებს.

ხოლო ამაში მის უმთავრეს მოცილეებად ამელი მორესმო და ჯენიფერ კაპრიატი მიიჩნევიან და ანგარიშებიდანვე დაატყობდით, მეოთხე წრეში გასაღწევად დიდი ოფლი არც მათ დაუღვრიათ.

ლევან კელაურაძე

გუშინ

კაცები

სებასტიან გროზანი (10, საფრანგეთი) — **რობი ჯინეპრი** (22, აშშ) 6:2, 6:2, 7:6 (7:4); **ფლორიან მაიერი** (გერმანია) — **იოახიმ იოხანსონი** (შვედეთი) 6:3, 6:7 (5:7), 7:6 (7:5), 6:4; **როჯერ ფედერერი** (1, შვეიცარია) — **ივო კარლოვიჩი** (ხორვატია) 6:3, 7:6 (7:3), 7:6 (7:5); **ლეიტონ ჰიუიტი** (7, ავსტრალია) — **კარლოს მოია** (9, ესპანეთი) 6:4, 6:2, 4:6, 7:6 (7:3); **მარიო ანჩიჩი** (ხორვატია) — **ქაავე მალისი** (ბელგია) 7:5, 3:1 (მალისმა შეწყვიტა); **სხენგ შალკენი** (12, ჰოლანდია) — **ვინს სპადია** (30, აშშ) 6:2, 7:5, 3:6, 6:2; **ენდი როდიკი** (2, აშშ) — **ალექსანდრ პოპი** (გერმანია) 7:5, 6:4, 6:4

ქალები

ტატიანა გოლოვინი (საფრანგეთი) — **ემანუელე გალიარდი** (შვეიცარია) 6:3, 2:6, 6:3; **კეროლინა სარეზი** (ხორვატია) — **მაგდალენა მალეევა** (21, ბულგარეთი) 6:4, 6:4; **სილვია ფარინა ელია** (14, იტალია) — **ვირხინია რუანო პასკუალი** (ესპანეთი) 2:6, 6:4, 7:5; **აი სუგიამა** (11, იაპონია) — **ტამარინე ტანასუგარნი** (ტაილანდი) 6:3, 7:5; **ლინდსი დევენპორტი** (5, აშშ) — **ვერა ზვონარიოვა** (12, რუსეთი) 6:4, 6:4; **მარია შარაპოვა** (13, რუსეთი) — **ემი ფრეზერი** (31, აშშ) 6:4, 7:5

ოლიმპიზმი

«ინდოეთის ექსპრესში» შერიგდნენ

„ინდოეთის ექსპრესი“ — ასე უწოდებენ მაჰეშ ბჰუპატისა და ლინდერ პაესის წყვილს საჩოგბურთო სამყაროში.

ინდურმა დუეტმა დიდი სლემის ოთხივე ტურნირის ფინალს უწია და სამჯერ გაიმარჯვა კიდეც.

ბჰუპატმა და პაესმა ერთად თამაში 1997 წელს დაიწყეს და ATP წრის 6 ტიტული მოიპოვეს. მომდევნო, 1998 წელსაც ამდენჯერვე გატიტულიანდნენ და დიდი გამარჯვებების ჟამიც დაუდგათ. 1999 წლის საფრანგეთის ღია პირველობაზე ყველას აჯობეს და დიდი სლემის პირველი გამარჯვებაც იგემეს. მერე უიმბლდონის ტურნირიც მოიგეს, მაგრამ ამის შემდეგ მათ შორის შავმა კატამ გაირბინა. ოფიციალური მიზეზი არავის დაუსახელებია, თუმც ფაქტი ფაქტად რჩებოდა, ბჰუპატი და პაესი ერთმანეთს ამრეზით უყურებდნენ.

მიუხედავად უთანხმოებისა, 2001 წელს „ექსპრესმა“ ისევ საფრანგეთის ღია პირველობა მოიგო. სასტუმროში სხვადასხვა ნომრებში ეძინათ და ერთმანეთსაც არ ელაპარაკებოდნენ, თუმცა კორტზე ყველა უთანხმოებას ივიწყებდნენ და შედეგიც ამან მოიტანა.

ბჰუპატი 29 წლისაა, პაესი 30-ის და ათენიც მათი ბოლო შანსია.

სხვების აზრი არ ვიცით და, ინდოელი ჩოგბურთელი რამანატან კრიშნანი თანამემამულეთა ოლიმპიურ პერსპექტივას სკეპტიკურად უყურებს. „დიდი ხანია, ერთად არ უთამაშიათ და, აბა, რა შანსი უნდა ჰქონდეთ“ — აცხადებს პატივცემული ინდო.

აქვე მოგახსენებთ, რომ მაისში ბჰუპატმა ბელარუს მაქს მირნისთან ერთად რომის მასტერსი მოიგო, ჩეხ დავიდ რიკლთან შეწყვილებულმა პაესმა კი ჰამბურგ მასტერსის ნახევარფინალამდე გააღწია.

„ჩვენ მშვენიერ ფორმაში ვართ და ტორონტოსა თუ ცინცინატის ტურნირები ათენისთვის კარგად მოგვამზადებს. ვერ ვხედავ მიზეზს პესიმიზმისთვის. მე და ლინდერი კარგად ვუგებთ ერთმანეთს და ათენში ნებისმიერ მოწინააღმდეგესთან შესახვედრად მზად ვართ“ — ამბობს ბჰუპატი.

ურთიერთობა მას შემდეგ დათბა, რაც ბჰუპატმა ძველ მეგობარს ორლანდოს ჰოსპიტალში ჩააკითხა. პაესს თავის ტვინის სიმსივნე აწუხებდა, თუმცა სიმსივნე ავთვისებიანი არ აღმოჩნდა, მეგობრები კი შეარიგა.

ლადო ფულუკიძე

შიში ოხერია

ოლიმპიადის დღეებში ათენში ჩვენ მიერ გაუკონტროლებული ჩიტიც კი ვერ იფრენსო, უკვე არაერთგზის უთქვამთ ბერძნებს, მაგრამ რა ზომებსაც არ უნდა მიმართონ, ბევრი სტუმარი მაინც აქედანვე ფიქრობს რისკზე, ათენში აგვისტოს გატარებას რომ უკავშირდება.

თამაშების ტერორიზმისგან დასაცავად გამოყოფილი უპრეცედენტო თანხა — მილიარდი ევროც ვერავის აიმედებს.

გუშინ გავრცელებული ინფორმაციით, ათენში 440 სპორტსმენით მიმავალმა გერმანიამ უკვე დაკვის ელიტური ჯგუფიც დაიქირავა, თან ისეთი, მსგავსი საქმისთვის მოცდენად მართლა რომ არ ღირს. თავად განსაჯეთ, ბუნდესვერის რაზმის ნამდვილი საქმე გერმანიის საზღვრებს გარეთ საიდუმლო ოპერაციების განხორციელება, ტერორისტთა ბაზების განადგურება და გამტაცებელთაგან მძევლების გათავისუფლებაა.

დასავლეთ ევროპელების ფონზე სულაც არაა გასაკვირი „ტერორიზმის შვილთათვის“ განსაკუთრებით საძულველი ებრაელების სიფრთხილე. მათგან წინასწარ შეგულებული სპეცრაზმის წევრთა რაოდენობა ისრაელის ოლიმპიური დელეგაციის წევრებისას ერთიორად აღემატება.

REUTERS ლონდონიდან

უიმბლდონზე ცენტრალური კორტის ჭუჭრუტანები უბილეთოებისაა. ისე, ამათი გაბარიტების პატრონები რომელ სკამზე დაეტეოდნენ

ჩირაღდანო, ჟიგულიან

ოლიმპიურმა ჩირაღდანმა ბარსელონაშიც შეიარა. მეჩერადდენსაც იცნობდით — დიადი ველომრბოლი მიგელ ინდურაინი ვახლავთ

REUTERS ბარსელონიდან

მეც გამაჭვრიტე, რაა...

REUTERS ლონდონიდან

თქვენ გაიხარეთ, ჩოგბურთის მაცქერალო ხალხო, უიმბლდონის ძველ ჩემპიონს რომ არ მივიწყებთ. თქვენი ბორის ბეკერი

ამას არაფერი ეშველება: ჯონ მაკინროემ, ახალგაზრდობაში სულ მსაჯების გინებაში რომ იყო, ღრიალი ვერც ასაკშეპარულმა მოიშალა.



REUTERS ლონდონიდან

თვალსაჩინო ხალხი

ეს მიხაელ შუმახერის ბოლიდია, რომლითაც შანხაიში ჩინეთის გრან-პრიზე ირბოლებს. ხოლო ისინი, ვისკენაც თვალი გაგექცათ, ჩინელი მოდელები არიან. ვინ თქვა, ჩინელებს ჯიშიანი ქალები არ ჰყავთო.

REUTERS ტოკიოდან

REUTERS შანხაიდან

ქალიც კარგი ჩანს, ჯეკი

მთელ მსოფლიოში განთქმულ ჰონკონგელ მსახიობს ჯეკი ჩანს საქველმოქმედო მოტორბოლა მოუწყვია შანხაიში, მისი მეგზური გოგონები კი ოდენ ადგილობრივი სიკაშკაშის ვარსკვლავები არიან

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით ერაძე, დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, პაატა კვანტალიანი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიორგი ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, ლადო ხომერიკი, ვაჟა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან კელაურაძე, ოთარ მაღლაკელიძე, ირაკლი პერტაია
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, ელენე გელუტაშვილი, რუსუდან ერისთავი, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, ზვიად მოსიაშვილი, თენგიზ ფოფხაძე, თამარ ქანქლაძე, ზურაბ წერეთელი, ირმა ჯიშკარიანი

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II პორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge